სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 28 ი ვ ნ ი ს ი **30 1896** წ. **№ 28**

შინაარსი: კიდევ ზეპირ-სიტყვაობის შესახებ ა. ხ—სა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—გავჩუმდე? ლექსი ი. ევდოშვილისა.—საყურადღებო ამბები.—ჟან დარკი ა—სი.—ინდოეთის ველური კამეჩი.—ივანე კოტორაშვილის ამბავი, პოემა ვაჟა-ფშაველასი.—კრიტიკული წვრილმანები ყარიბისა.—წვრილმანი.—ნუშო (დასასრული) ვ. ბარნოვისა.—განცხადებანი.—

მათი უავგუსტოესი იმპერატორებითი უმაღლესობათა **დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულისა** და **დიდი მთავრის ალექსანდრე მიხეილის ძის** მფარველობათა ქვეშ მყოფი ქუთაისის გუბერნიის ცენტრალური კომიტეტი წყალ-დიდობისაგან და დიდ თოვლობისაგან დაზარალებულთა შემწეობის აღმოსაჩენათ, ამით აცხადებს, რომ ფული და ნივთები დაზარალებულთა სასარგებლოთ მიიღება კომიტეტის თავმჯდომარის, ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის. თ. ს. გ. წერეთლის სახელობაზე.

(3—3)

თბილისის ქალაქის თავი

ამით აცხადებს, რომ რადგან ამ წლის ხანგრძლივმა წყალ-დიდობამ რიყის და საზოგადოთ ქალაქის დაბლობი ადგილების მცხოვრებთ დიდი ზარალი მიაყენა, ასე რომ მრავალი ღარიბესი მცხოვრები ქალაქისა სრულიათ ხელ-ცარიელი დარჩა, ამიტომ ქალაქის გამგეობამ მიიღო რა სახეში საზოგადოების გულ-შემტკივრობა, გამართა შეწირულობის მიღება ღარიბ დაზარალებულთა სასარგებლოთ.

შეწირულობა მიიღება ქალაქის გამგეობის დარბაზში, ყოველ დღე შუა-დღის ორ საათამდის.

(3—1)

კიდევ ზეპირ-სიტყვაობის შესახებ.

რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდება წერილები, რომელნიც თვალწინ გვიყენებენ მრავალ ფეროვან მნიშვნელობას საერო პოეზიისას და გვიწვევენ ერის გონებითი ნაწარმოების შემოსაკრებლათ. აი, ახლაც „მოამბის“ მე-V ნომერში წავიკითხე ბ-ნი სინაურიძის წერილი, რომელიც ეხება ამავე საგანს და იგონებს აკაკის მოწოდებას თანხის შესადგენათ, რათა დაენიშნოთ ჯამაგირი იმათ, ვინც ითავებენ ხალხის ნაწარმოების შეკრებას.

ბ-ნი სინაურიძე ივიწყებს „კვალშივე“ დაბეჭ-

დილ ჩემს წერილს, სადაც ჩვენ სხვა გზას ეუჩვენებ-დით და ეამბობდით, რომ საერო ნაწარმოების შემოკრება დავალებული უნდა იქმნას მასწავლებლებზე. ჩემს სიტყვებს ავტორი ახლა იმეორებს, თუმცა კი არ გვახსენებს, და ამბობს ჩემი აზრიაო. სოფლის ინტელიგენციას მივმართოთო... მე ვამბობ სოფლის მასწავლებლებზე და მღვდლებზე.

ჩვენ დიდათ ვეფასებთ საერო ნაწარმოების შემოკრებას და გამოცემას, მაგრამ ამ საქმეს ისეთ გაზვიადებულ მნიშვნელობას არ ვაძლევთ, როგორც ბ-ნი სინაურიძე. იმას ჰგონია, რომ ჩვენი ხალხის ნაწარმოები ნათელს მოჰფენს მეცნიერებაში ეგრეთ წოდებულ „მითოლოგიურ ეპოქას“. ავტორს ავიწყდება, რომ ამ ბოლო დროს შეიცვალა შეხედულება საერო პოეზიის წარმოებაზე და იქ, სადაც წინათ მეცნიერნი ეძებდენ მითოლოგიის ნაწყვეტებს, აღმოჩნდა მწერლობის გავლენით შექმნილი შეხედულება. არ ვეთანხმებით ავტორს იმაშიაც, ვითომც ჩვენი ხალხის ზეპირ-სიტყვაობა სრულებით უცნობი, „terra incognita“ იყოს. მოიგონეთ, ბატონებო, რამდენი ძვირფასი არაკები, ლექსები, ლეგენდები დაიბეჭდენ ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში და ცალკე წიგნათ: სვანური ზღაპრები თავისუფალი სვანის მიერ შეკრებილნი, აღნიაშვილის არაკები, ფშაური ლექსები დ. ხიზანაშვილისა, მეგრული არაკები ცაგარლის ეტიუდებში, ხევსურების ლექსები ნ. ურბნელისა, ღონღაძის, ბაჩანას და სხვათა მიერ ჩაწერილნი არაკები და ლექსები, ეთნოგრაფიული წერილები თავისუფალი სვანისა, ნ. ურბნელისა, დ. ხიზანაშვილისა, ვაჟა-ფშაველასი, რაფ. ერისთვის საყურადღებო გამოკვლევანი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა შესახებ, ძვირფასი შემუშავებული და შეუმუშავებელი მასალა, აღბეჭდილი ოც წიგნში „Сборникъ Попечителя Кавказ. Округа“, პირველ წიგნიდან აქამდის კავკასიის გეოგრაფიული განყოფილების „Извѣстія“-ში და „Записки“-ში, Этнографическое Обозрѣніе-ში, წერილები ბერძენოვის და ბაქრაძისა „Кавказъ“-ში, სხვა-და სხვა პირთა ნაწერები „Нов. Обозрѣніе“-ში, „Матеріалы для изученія крестьянскаго быта“ და სხვა-და-სხვა და გარწმუნებთ, რომ საკმარისი შუქი შეაქვთ ავტორის მიერ აღიარებულ „terra incognita“-ში. მისგანვე სათაყვანებელი ეს. მილლერი ერთ თავის წერილში ამბობს, რომ არც ერთი მხარე რუსეთის იმპერიისა ისე კარგათ არ არის ამ ბოლო დროს შესწავლილი, როგორც კავკასიაო. მართალსაც ამბობს. არავის შეუძლია ბ-ნ სინაურიძესთან ერთათ მიწასთან გასწოროს ზემოხსენებულ პირთა ნაწერები და თამამათ თქვას: არ არსებობს „თხზულება, რომელიც ქართველის კალამს ეკუთვნოდეს და შიგ აწერილი იყოს ჩვენი წარსული, აწმყო, ჩვენი ზნე-ჩვეულებანი“ და სხვა. ასეთი აზრი შემცდარიც და უსამართლოც არის ერთ და იმავე დროს. ჩანს ავტორს თვალები აუხვევია და არ წაუკითხავს ქართულათ ბ რუსულათ ის წერილები, რომელნიც სვინდისიერათ დაფასებულნი არიან საქართველოშიც და რუსეთშიაც.

არც გაზვიადება ვარგა რომლისაც საგნის მნიშვნელობისა და არც დამცირება. რა საჭიროა შეეიყვანოთ ჩვენი საზოგადოება შეცდომაში და ეთქვათ ბ-ნ სინაურიძესავით, რომ ვითომც ტეილორს გამოეთქვას აღნიაშვილის ზღაპრების ინგლისურათ გადათარგმნის გამო, რომ ჩვენ ზღაპრებში „სულ სხვა შეხედულება, სხვა მისწრაფება და სულის მოძრაობა იხატება.“ ტეილორს არ უთქვამს ეს სიტყვები და არც იტყოდა, რადგანაც გამოჩენილმა ფოლკლორისტმა კარგათ იცის, რომ ყოველი ერის ნაწარმოებს, როგორც პირვანდელი პსიხოლოგიური მოძრაობის ნაყოფს, ეტყობა ერთ-ფერობა და ერთსულობა. არ უთქვამს აგრეთვე მეორე გამოჩენილ სწავლულს, ელიზე რეკლიუს, რომ ქართველნი ქალნი იმდენათ მხეცნი არიან, რომ საქონელს ცოცხლათ ატყავებენო. სხვისი აზრის მოყვანა ფთხილათ უნდა წარმოებდეს და იმავე სახით, როგორც ნათქვამია... შემცდარათ არის აგრეთვე ეს. მილლერის აზრი, რომ ვითომ „უმრავლესი ზეპირ-სიტყვაობანი სამხრეთ რუსეთისა სულ კავკასიიდან არიან შესულნი და მერე თავისებურათ გადაკეთებულნი“. არავის დაუმტკიცებია და ვერც დაამტკიცებენ, როგორც ბ-ნ სინაურიძეს ჰგონია, რომ იყო დრო, როცა ქართველები კოლხებათ იწოდებოდენ. აღარ გავაგრძელებ ავტორის შემცდარ აზრების მოყვანას. ჩვენ მხოლოთ გვაკვირვებს, რისთვის დაჭირდა ამდენი არეულ-დარეულ მოსაზრებით გატენა პატარა წერილისა და უმნიშვნელო მითითებით „Исторія-ზე Рождественскаго для среднихъ учебныхъ заведеній“ სლავიანების მოღვაწეთა მოსაგონებლათ. დობროვსკის, კარაჯიჩს და სხვებს ყველა მოსწავლე იცნობს ილოვაისკის სახელმძღვანელოდანაც. გაუზვიადებლათაც ჩვენ საზოგადოებაში ტრიალებს აზრი ერის ნაწარმოების შეკრების შესახებ და „კვალის“ რედაქცია მომავალი ნომრიდან უკვე შეუდგება პროგრამის ბეჭდვას სახელმძღვანელოთ იმ პირთა, ვინც მოისურვებს ამ საქმეს ხელი მოჰკიდოს.

ს. ხ.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ამ თვის 25-ს შესრულდა ასი წელი იმპერატორი ნიკოლოოზ I დაბადების დღიდან. საყდრებში გადახდილი იქმნა პანაშვიდები. აგრეთვე ვერის მოსავალზე, ჯვართან, თავად-აზნაურობამ გადაიხადა პანაშვიდი. საქალებო ინსტიტუტში, რომელსაც ამიერიდან ნიკოლოოზის სახელი დაერქმევა, დაარსდა ერთი სახელმწიფო სტიპენდია.

*
* *

მომავალი სექტემრიდან მესამე კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის ფასი 66 მანეთის მაგიერ 70 მან. იქნება.

*
* *

ჩვენ აუცილებელ საჭიროთ მიგვაჩნია, რომ მკითხველებს ვაუწყოთ სათავად-აზნაურო ბანკის მართველობის განცხადება, რომელიც იყო დაბეჭდილი რუსულ გაზეთებში, რადგან უსაუოთ ამ ბანკის მსესხელები ქართველებიც იქნებიან: პირველ კათათვიდან მსესხელებს გამოერთმევათ $^{3}/_{4}$% იმ ერთი %-ის მაგიერ, რომელსაც აქამდის იხდიდენ ბანკის მოსამსახურე პირთა შესანახავათ წესდების 28 § ძალით.

*
* *

მთავარ-მართებლის თანაშემწე გრაფ ტატიშჩევი წაბძანდა თავის მამულში ორი თვის ვადით; ამის გამო თანამდებობას დღეიდან ასრულებს კორპუსის უფროსი თ. ი. გ. ამილახვარი.

*
* *

სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა გადაწყვიტა მიეცეს 400 მან. გორის ანასტასის საქალებო სკოლას, 600 მან. თელავის წმ. ნინოს სასწავლებელს და 1000 მან. წყალ-დიდობის და თოვლისაგან დაზარალებულთა დასახმარებლათ.

*
* *

კარაპეტ სერობიანცის არჩევაზე გუბერნატორს საჩივარი მიართვეს ხელოსნებმა და თხოვდენ არჩევნების გაუქმებას. საჩივარში სხვათა შორის ნათქვამი იყო, რომ სერობიანცმა წერა-კითხვა არ იცისო, მაშინ როდესაც სახელოსნო წესდება ამას ითხოვსო. გუბერნატორის განკარგულებით სერობიანცი გამოცადეს და აღმოჩნდა, რომ წერა-კითხვა ცოდნია ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე. თუ ამის მეტი საბუთი არა ჰქონდა საჩივარს, რასაკვირველია, არჩევანს დაამტკიცებენ.

*
* *

„კავკასიის სამეურნეო გაზეთის“ კორესპონდენტი ქუთაისის მაზრიდან იწერება, რომ მეურნეობის მხრივ ქუთაისის გუბერნიაში ამისთანა ცუდი წელიწადი ჯერ არ ახსოვთ; მეურნეობის ყველა დარგი წელს მეტათ დაზარალებულია. არც აბრეშუმის წარმოებას გაუღიმა წლევანდელმა წელიწადმა. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ წელს ერთობ იმერეთში გატაცებით ეკიდებოდენ აბრეშუმის მოყვანას; გასაღებულა სულ 31 ფუთი თესლი სხვა-და-სხვა ფირმებისა. სასარგებლოა მერმისისათვის ვიცოდეთ, რომ არ გამომდგა-რა შემდეგი ფირმების თესლი: პსალტიდისა, ნიკოლაიდისა, მესატურიანცისა, ტუპიანცისა, კუზუნის და სხვ. ყველაზე უკეთესი გამომდგარა თესლი ქ-ნი სუკიასოვისა და თავად ჩოლოყაშვილისა. მაგრამ საზოგადოთ აბრეშუმის საქმეს წელს ხელს უშლიდა, როგორც ატმოსფერული მოვლენანი, ისე თვით საქმის წაყვანის უკოდინარობა. ამიტომ კორესპონდენტი ერთობ სიამოვნებით მოიხსენიებს, რომ ამ ჟამათ უკანასკნელ კარემოებას ცოტ-ცოტათი ბოლო ელება მით, რომ ადგილობრივი ინტელიგენტები ეკიდებიან აბრეშუმის მოყვანას. ამ მხრით ყველაზე უფრო ყურადღების ღირსნი არიან თ. ნ. ბ. ჩხეიძე სოფ. დიდ-ჯიხაიშში, თავ. წულუკიძეები ხონში და თავად მაჭუტაძენი (დიმიტრი და ალექსანდრე) სოფ. ნიგოითში. მეტია აქ იმაზე ლაპარაკი, რომ ამ მხრივ, ყველაზე უფრო სასარგებლო სამსახურს გაუწევენ საზოგადოებას ამხანაკობები ხონისა და გურიისა.

*
* *

1894 წელს პირველ იანვარს ქუთა-სის გუბერნიაში ითვლებოდა სულ 922,791 მცხოვრები, იმათგან: 490,299 კაცი და 432,492 ქალი. წლის განმავლობაში დაბადებულა 15,345 ვაჟი და 14,264 ქალი, სულ—29,609, და მომკვდარა 16 726 სული. ამნაირათ, წლის განმავლობაში მიემატა 12,883 სული, რაც მცხოვრებთა საერთო რიცხვთან შედარებით შეადგენს 1,39%. ქორწილი მომხდარა 8,719. მუდმივი მცხოვრებნი ასე განიყოფება-ან: იმერლები 413,805, გურულები 76,065, აჭარლები 59,495, მეგრელები 214,499, აფხაზნი 29,792, ოსმალები 28,364, სამურზაყანელები 29,610, რუსები 4,781, ბერძნები

6,603, ოსები 3,595, სომხები 16,349, ურიები 7,072 და სხვა ქართველები 12, 979.

* * *

ამ თვის 26 თბილისის პალატამ გაარჩია ცნობილი საქმე დიმ. ჭავჭავაძის ნაანდერძევი 400,000 მან. შესახებ, რომლის სარგებელი უნდა მოხმარებოდა კერძოთ ჭავჭავაძიანთ გვარის ყმაწვილების აღზრდას და საზოგადოთ განათლების საქმეს. სულხ. ჭავჭავაძის ვექილი ამტკიცებდა, რომ ანდერძის დამწერი შერყეული იყო და ამისათვის ანდერძი შესაწყნარებელი არ არისო. მაგრამ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ვექილი ამის წინააღმდეგს ამტკიცებდა და პალატამაც საჩივარზე უარი უთხრა თ. ს. ჭავჭავაძეს.

* * *

ქალაქ მოსკოვში იხსნება საინჟინრო სასწავლებელი ინჟინერ-პრაქტიკების მოსამზადებლათ. სწავლა გაგრძელდება სამ წელს და შემდეგ სწავლის დამთავრებისა ორი წლის სავალდებულო პრაქტიკაა დანიშნული. საინჟინერო სასწავლებლის სტუდენტებათ მიიღებიან საშუალო სასწავლებლებში კურს დამთავრებულნი, რომლებიც ამასთანავე შესამოწმებლათ გამოცდილ იქნებიან. პანსიონერებისათვის გადასახადი 400 მანეთია, გარედან მოსიარულეთათვის, რომლებმაც მახლობელ ნათესავებთან უნდა იცხოვრონ,—100 მანეთი. ვინც საინჟინერო სასწავლებელში სწავლას დაამთავრებს, მიიღებს დიპლომს ინჟინერ - მაშენებლის წოდებით.

გ ა ვ ჩ უ მ დ ე?!

გავჩუმდე?! თითქოს ხელთა მქონდეს მე ჩემი გული,
განა თქვენ ძალგიძთ დაამშვიდოთ ზღვა აღგზნებული?!
მე დროს შვილი ვარ, მან გამზარდა თვის მთრთოლვარ მკერდზე
და ახლა თითებს ვათამაშებ მისსავე სიმებზე.
მე დროს შვილი ვარ, გამიტარა მან გულს ისარი
და ისარითვე პასუხს აძლევს მას ჩემი ქნარი.
მე დროს შვილი ვარ, მან მაწოვა მხამი სამსალა
და აღესებული აწ ფიალა გადმოიცალა.
მე დროს შვილი ვარ, მაგრამ ურჩი ჩემი მშობლისა,
დავგმობ მე მასში, რაც ღირსია კრულვა—გმობისა!
გავჩუმდე?! თითქოს ხელთა მქონდეს მე ჩემი გული,
განა თქვენ ძალგიძთ დაამშვიდოთ ზღვა აღგზნებული?!

ი. ევდოშვილი.

საყურადღებო ამბები.

სამეგრელო. ნათქვამია: „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო", ამისი არ იყოს, წრევანდელი წელიწადი საზოგადოთ მთელი სამეგრელოს მკვიდრთათვის დიდ-ხანს დაუვიწყარი და მოსაგონებელი იქნება. შარშან შემოდგომაზე და წელს ზამთარში რაც მოხდა, ის საკმაოთ იცის მკითხველმა. სხვა და-სხვა სტიქიურმა მოვლენამ უმეტესობას თითქმის ყოველგვარი სარჩო-საბადებელი გამოაცალა; ამიტომ ხალხს მხოლოთ წლევანდელი მოსავლის იმედი-ღა დარჩენოდა, მაგრამ აგერ ივნისიც გადის და ჩვენსკენ ჯერ ხვნა-თესვა კიდევ არ მოთავებულა. ზოგი ახლა თესავს ხელ-მეორეთ ჭინახულს, რადგან მაისში ვაი-ვაგლახით დათესილი ყანები მდინარეებმა წალეკა. კვლავ ამ დროს ჩვენსკენ შვენიერი მობიბინე ჯეჯილი ყოფილა. რაც დაითესა ისიც ვერაფერ იმედს იძლევა. წელს საზოგადოთ ვაზსაც, იზაბელას, ერთობ თხლათ ასხია და არც ამისი იმედი აქვთ, რომ შერჩეს, მით უმეტეს, რომ სამეგრელოს გამანადგურებელი აღმოსავლეთის ღონიერი ქარის შიში აქვთ. არც სხვა მხრივ არის წელს სამეგრელო უზრუნველ-ყოფილი: სხვა-და-სხვა ავათმყოფობამ ერთობ სული და გული შეუხუთა უამისოთაც გაღატაკებულ მდაბიო ხალხს. ექიმის მოწვევაც სიშორის გამო შეუძლებელია. ერთობ ხშირია ყვავილი—„დიდი ბატონები", რომლის წინ მდაბიო ხალხი მუხლ-მოდრეკილი დიდი თაყვანისცემით ლოცულობს ავათმყოფის განკურნებისათვის.

ტრ. კალანდარიშვილი.

* *

სოფ. მოხისი (გორის მაზრა). 12 ივნისს აქ ერთ სამწუხარო ამბავს დავესწარი და არ შემიძლია ეს არ გაუზიარო მკითხველ საზოგადოებას.

11 ივნისს თბილისიდან გავიარე სოფელ მოხისში, სადაც გამწესებულია ჩემი ნაცნობი ახალგაზდა მღვდელი მ. ბენიამენი. ამ დღეს მღვდლის სახლში ვნახე რამდენიმე მოსწავლე ბავში, ქალ-ვაჟნი, რომლებსაც ასწავლის მ. ბენიამენი უსასყიდლოთ. ოთახ-

ში არ ყოფილა სკოლისთვის არავითარი მოწყობილობა. იდგა მხოლოთ ერთი სასადილო მაგიდა, რომელზედაც წერდენ ბავშები რიგ-რიგობით; მაგრამ ამ ნაკლულევანებას ვერ დაებრკოლებია სწავლის საქმე: ბავშები შეენიერათ წერდენ და კითხულობდენ.

მღვდლისაგან გავიგე, რომ სოფელს სკოლა არ აქვს და არც სურთ რომ დაარსონ, თუმცა ეს სოფელი გორის მაზრაში უმდიდრეს სოფლათ ითვლება. სოფლის გარშემო სახნავ-სათესი ადგილები სოფლის საკუთრებას შეადგენს და არა სიბატონოს, როგორც ეს სხვა სოფლებშია. უკანასკნელ ელეხს ორი უღელი ხარ-კამეჩი ჰყავს, ისე კიდევ ძროხა, ცხენი, ღორი, ცხვარი და სხვა. ათასი და ორი ათასი ნაღდი ფულის მქონე გლეხები ბევრია, მაგრამ უმეტეს ნაწილს სკოლა არ სურს.

მღვდელმა მითხრა, სოფელი მემუქრება, დრამას არ მოგცემთ და „დანოსებს“ გაგიგზავნით მთავრობასთან თუ ყმაწვილების სწავლაზე ხელს არ აიღებო და სხვა. აგრეთვე მიამბო ყველაფერი სოფლის ამბავი, მაგრამ მე მეათედიც ვერ დავიჯერე. ჰფიქრობდი, ჩემთან თავის მოწონება სურს და იმიტომ ლაპარაკობს ასე-მეთქი. მე სწორეთ არ მეგონა ამისთანა სწავლის წინააღმდეგი კუთხე თუ იყო საქართველოში, მაგრამ მეორე დღის სცენამ დამიმტკიცა, რომ მე თურმე ურწმუნო თომა ვიყავი და ტყუილათ არ ეუჯერებდი. აი, ეს სცენაც:

12 ივნისს დილით რვა საათზე აქა-იქ იწყეს შეკრება სოფლელებმა (ეს დღე წვიმიანი დღე იყო). ცოტა ხანს შემდეგ მოგროვდენ მღვდლის სახლთან. მღვდელი გამოვიდა ოთახიდან და მიესალამა ჩვეულებრივათ, იმათაც მაგიერი სალამი მისცეს.

— რაზე შეკრებილხართ, რა ამბავია, დაეკითხა მღვდელი ხალხს? ამ კითხვაზე წამოდგენ წინ რამდენიმე კაცი და მოახსენეს:

— მამაო, სისხლი ყელში მოგვადგა, მეტი მოთმენა არ შეგვიძლია და ნუ დაგვღუპავ!..

— სისხლი ყელში რისთვის მოგადგათ, რის მეტი მოთმენა არ შეგიძლიათ? თქვით, რაშია საქმე? ამ კითხვებზე ერთმა, რომელიც უფრო წინ იდგა, მიუგო:

— აი, ამ საათში შენს ოთახში არიან ბავშები და სწავლობენ; მათი რიცხვი დღითი-დღე მატულობს, ჩვენ არ გვინდოდა ყურადღება მიგვექცია, მაგრამ შენი სახლი ლამის სკოლათ გარდიქცეს და ჩვენ ამისი გვეშინია.

რამდენი ეცადა მღვდელი დაერწმონებია, რომ აქ საშიშო არაფერია და ის არავის არ შეაწუხებს, მხოლოთ მსურველებს ასწავლის და იმათაც უსასყიდლოთ და არც სკოლის სახელით, მაგრამ ვერას გახდა. ხალხი მაინც თავისას გაიძახოდა: არ შეგვიძლია, მაგის ნებას ვერ მოგცემთ; ჩვენ შეკრავთ სოფელს, მაგათ საქონელს ჩვენ ნახირში არ გავურევთ, ღორებს დავუკლავთ, არ ვიმეზობლებთ და ბავშებსაც გაელახავთ, ვინც აქ მოინდომებს წამოსელასაო და სხვა.

მღვდელი და ხალხი რომ ამ ლაპარაკში იყვენ, ამ დროს მეორე სცენა ყმაწვილების ოთახში ხდებოდა. ბავშებმა რომ ხალხი დაინახეს, მაშინვე მიხვდენ, რაშიაც იყო საქმე და ძლიერ შეშინდენ. როცა გაიგონეს, რომ ბავშებს გაელახავთო გული გაუსკდათ და ტირილი მოართეს. მიხურეს ოთახის კარები, აიღეს წიგნები და მოილაპარაკეს, თუ ოთახში შემოგვიცვივნდენ ფანჯრებიდან გადავხტეთო... კარგა ხნის ლაპარაკს შემდეგ ხალხი დაიშალა იმ განზრახვით, რომ კვირას შეიკრიბონ მთელი სოფელი და ეს სკოლა მოსპონ. როცა ხალხი დაიშალა ბავშებს იმედი მიეცათ, სიხარულით არ იცოდენ რა ექნათ.

— ღორები სულ დაჰკლან თუ უნდათ, ჩვენ არ შევშინდებით, ან რა უნდათ ჩვენთან? ჩვენ სწავლა გვინდა და მათ ხომ არას ვართმევთო.

როგორ მოგწონს, მკითხველო, ეს ამბავი? თქვენი კი არ ვიცი და ჩემთვის ეს სამწუხაროა ამბავია. ჩემის აზრით, საეალდებულო სწავლის შემოღება აქ არის საჭირო. დასასრულ ეუსურვებ მ. ბენიამენს სულით არ დაცემულიყოს და ამ საქმეს ღირსეულათ გაძღოლოდეს.

სტუმარი.

* * *

სოფ. ხიდისთავი (გურია). დიდი ხანი არ იქნება მას აქეთ, რაც ხიდისთავი პირველ სოფლათ ითვლებოდა მთელ გურიაში ბახვის შემდეგ. ახლა კი იმ მდგომარეობას მიახწია, რომ მგონი ჩქარა უკანასკნელი გახდეს. მკითხველი უთუოთ იკითხავს, თუ რა არის მიზეზი ასეთი ცვლილებისა. მეც მოგახსენებ. დღემდის აქ არსებობდა სამი სასწავლებელი: ერთი ორ კლასიანი სამინისტრო და ორიც სამრევლო. ერთმა ამ უკანასკნელთაგანმა კარგა ხანია რაც თქვენი ჭირი წაიღო, ხოლო მეორეს ყოფნას არ ყოფნა ჯობია. არც მამასახლისზე ვიტყვი რასმეს. ბიბლიოთეკა რაღა მდგომარეობაშია, გნებავთ გაიგოთ? წელიწადზე მეტია რაც ხმა გაისმა, რომ ხიდისთავში ბიბლიოთეკა გახსნესო. პირველათ ცოტა არ იყოს მეუცხოვა, როცა ჟურნალ-გაზეთები დუქანში დავინახე დაწყობილი, მაგრამ გულში გავიელე, დღეს ასე იყოს და ხვალ თუ ზეგ უკეთესათ მოაწყობენ მეთქი. მეორე კვირაში კიდევ გიახელით ამ-

ზის გასაგებათ. ბიბლიოთეკარს ვეკითხები: რა იქნენ ჟურნალ-გაზეთები მეთქი. იმან მითხრა: ამა და ამ კაცმა წაიღოო. მესამეთ კიდევ მოვიკითხე და გავიგე, რომ ,,იმ კაცს'' ჟურნალ-გაზეთები არ დაუბრუნებიაო. რაღა უნდა მექნა, ავდექი და წაველი ,,იმ კაცთან'', მაგრამ ის კაცი შინ არ იყო; მისმა შინაურებმა მითხრეს, რომ გაზეთები სხვამ წაიღოო. მას შემდეგ ყურს ვუგდებ, მაგრამ ცუდის მეტი კარგი ამბავი არა ისმის რა საკვირველი კია, ღმერთმანი! რათ უნდა იყოს ასე უყურადღებოთ მიგდებული ბიბლიოთეკის საქმე? იმას ვერავინ იტყვის, რომ სიღარიბე გვიშლის ხელსო; მაშ რიღას მიზეზია! ყველაზე უწინ აქ დაიწყეს ლაპარაკი ბიბლიოთეკის საჭიროებაზე და ახლა აღმოჩნდა, რომ ყველაზე ბოლოსაც ვერ განხორციელდა დიდი ხნის დაწყებული საქმე.

ი. ლ.

***

ახალ-სენაკი. მაისის უკანასკნელ რიცხვებში ახალ-სენაკში დაიწვა თერთმეტი ქვითკირის დუქანი. რამდენიმე ამ შენობათაგანი, როგორც ამბობენ დაზღვეული ყოფილა. ვისიც დაზღვეული არ იყო, იმის პატრონის მწარე ქვითინი და ცრემლები ქვასაც კი აატირებდა. ზოგიერთებს დუქნის საქონლიდან სული არა დარჩენიათ-რა. ცეცხლი გაჩენილიყო შუა ღამის ორ საათზე, როცა მთელ ქალაქს ეძინა. ცეცხლის გაჩენა თუმცა მალე შეიტყვეს, მაგრამ ვინ რას უშველიდა, ცეცხლის საქრობმა იარაღმაც (რომელიც, ვგონებ, ადამის დროისაა) ვერაფერი უშველა ქალაქს. ამ გვარი მოვლენა ახალ-სენაკში ძალიან ხშირია და ვერ გაგვიგია, რატომ ამ გარემოებას ყურადღებას არ აქცევენ. ცეცხლის საქრობი მანქანა ზოგიერთ სოფლელებს შეუძენიათ და ნუ თუ ახალ-სენაკისათვის სირცხვილი არ არის იმის უქონლობა?..

12 ივნისს, აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ევ. გაგუას ცოლი რევოლვერით მკვდარი იპოვნეს. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი ჯერ ნამდვილი არავინ იცის. ქმარი დატყვევებულია და გამოძიება წარმოებს...

ტრ. კალანდარიშვილი.

***

სად. ნატანები. 14—15 წლის წინეთ უდაბური და მიუდგომელი ტყე ყოფილა აქ, რომელიც იმ დროს მგლებისა და გარეული ღორების ბუნაგათ ითვლებოდა. ახლა ამ 14 წლის განმავლობაში გაიკაფა ეს გაუვალი ტყე, გაშენდა სადგური და მხეცთა ბუნაგების ნაცვლათ ადამიანთა სადგომები და სავაჭრო სახლები გაშენდა. მაგრამ, სამწუხაროთ, ადამიანური ცხოვრება ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია...

ამდენი ხნის განმავლობაში ჯერ არავის ახსოვს, რომ აქედან ვინმე საზოგადო დაწესებულებას ან საქველ-მოქმედო რასმეს შეწეოდეს.

ნივთიერათ, შედარებით სხვა ასე პატარა სადგურთან ჩვენი ნატანები თუ წინ არა დგას, დიდათ მაინც არ ჩამორჩება, მაგრამ სამარცხვინო ეს არის, რომ ჩვენი საკუთარი კუჭის დაკმაყოფილება სრულიათ ჩვენი მოვალეობის დაკმაყოფილებათ მიგვაჩნია და ეს ხომ გონებისა და ზნეობის დაცემას ნიშნავს!.. დღესაც, როცა თითქმის მთელი ქვეყნის ყურადღება მიიქცია შარშანდელ წყალ დიდობისა და წრევანდელი სასტიკი ზამთრისაგან დაზარალებულმა სოფლებმა, ჩვენ ამასაც გულ-ცივობით შევყურებთ... ჩაუჯდებით ღვინის სმას, ან ქაღალდის და ნარდის თამაშს და მთელ დღეს და ხან ღამესაც ასე ვატარებთ. ეს ხომ პირველი საქმეა ჩვენთვის და ამისთვის არც გვშურს ხუთი და ათი მანეთი და ხშირათ მეტიც.

საყვედურის ღირსათ მიმაჩნია აგრეთვე ის პირებიც, რომელთაც შეძლება საკმაოთ ნებას აძლევს და არც ერთ ქართულ ჟურნალსა და გაზეთს არ იწერენ, ერთმა გასულ წელს გამოიწერა, მაგრამ წელს ისევ მიანება თავი. რომ ჰკითხოთ, სიბრიყვე არისო, გიპასუხებთ, მოსამსახურე კაცისთვის რუსული გაზეთი არის საჭიროვო; მაგრამ ეს არც რუსულს იწერ და აღარც ქართულს...

მართალია, ჩვენშიაც სიღარიბე არის ჯერ წარსული წლის მოუსავლობისა და მერე სიმინდის ფასის ასე დავარდნის გამო (სიმინდი შარშან ამ დროს 60 კაპ. ფასობდა, ახლა კი 35 კაპ. ძლივს ყიდულობენ), მაგრამ რაც უნდა იყოს, იმ დაზარალებულებთან შედარებით, რომლებმაც ნახევარი და ზოგმა მთელი საცხოვრებელი დაჰკარგეს, მაინც შეძლებული ვართ და ვალათაც გვადევს შეძლების და-გვარათ ხელი გავუწოდოთ საშველათ.

აქაური.

ჟ ა ნ დ ა რ კ ი.

(შემდეგი *)

ჟან დარკი დაიბადა 1412 წ. შამპანიის მაზრის დომრემის სოფელში, უბრალო გლეხის ოჯახში. მისი დედ-მამა ღვთის მოსავი ხალხი იყო და სოფელში პატივისცემა და კარგი სახე-

*) იხ. „კვალი“ № 27.

ლი ჰქონდათ დამსახურებული. ჟანას გარდა მათ ჰყავდათ ოთხი სხვა შვილი. თითონ ჟანა ჩუმი და წყნარი ხასიათის ქალი იყო, მორწმუნე და მშრომელი. მისი დედა იზაბო ღვთის მოყვარებაში ზრდიდა თავის ქალს.

ყმაწვილობაში ჟან დარკს ბევრი რამ ხალხური ზღაპრები გაეგონა. ჟან დარკს უყვარდა მახლობელ ტყეში თამაშობა, სადაც იგი ცხვარს აძოვებდა ხოლმე. არის გადმოცემა: ვითომ იმ ტყეში მოჩუხჩუხებდა შვენიერი წყარო და იდგა დიდი წიფელი, რომელსაც ხალხი „ფერიების ხეს“ უწოდებდა. ამ ხის ტოტებში ბუდობდენ ფერიები და მხიარულობდენ, მაგრამ მას შემდეგ რაც საფრანგეთს უბედურება ეწვია და ინგლისელები შემოვიდენ, ფერიებმაც შეწყვიტეს მხიარული ცეკვა-გალობა და მხოლოთ მათი მოთქმა და ოხვრა-ღა ისმოდაო.

სხვა ამბავიც იყო ხალხში დარჩენილი: ვითომ ერთ გრძნეულ ქალს, სახელად მერლინს, ეწინასწარმეტყველებინოს: საფრანგეთი ქალისაგან დაიღუპება, მაგრამ ქალწული დაიხსნისო.

შეწუხებული ხალხი ასეთ უცნაურ გადმოცემებში ეძებდა ნუგეშს. ჟანა პატარაობიდანვე ხედავდა თავისი ხალხის უბედურებას, პატარაობიდანვე ესმოდა ასეთი არა ჩვეულებრივი ზღაპარ-გადმოცემები და მისმა ფანტაზიამაც შესაფერი მიმართულება მიიღო. ბოლოს იგი იქამდის მივიდა, რომ ჩვენებაებიც კი მოევლინა.

ერთხელ ჟან დარკი მარიამობის მარხვაში დომრემის ეკლესიის მახლობლათ იდგა; უცბათ რაღაც ჩვენება განსხივდა და ამ დროს ხმაც მოესმა: „ჟანა, იყავი მუდამ კეთილი ქალი და გიყვარდეს ეკლესიაში სიარული“. ჟანას შეეშინდა ამ ჩვენებისა, მაგრამ ხმა მაინც უფრო ცხადათ უმეორებდა ერთსა-და იმავე. ბოლოს მის თვალებს გამოეხატა ნათლით მოსილი ჭაბუკი, რომელსაც ნათლის ფრთები ესხა. როცა ჟან დარკი გამოერკვა ჩვენებისაგან და გონზე მოვიდა, მტკიცეთ დაარწმუნა თავისი თავი, რომ მას ნამდვილათ გაბრიელ მთავარ-ანგელოზი გამოეცხადა.

უცხოელთა ბატონობა მეტათ შესაწუხებელი იყო მით უმეტეს, რომ ნახევარ საფრანგეთი მტერს მიუდგა. ხალხი სულ ომზე ლაპარაკობდა. ხალხს ეცოდებოდა თავისი უბედური მეფე, რომელიც ისე იყო შევიწროებული, რომ დაგვირგვინებაც კი ვერ მოეხერხებინა. ინგლისელები უწყალოთ ჩაგრავდენ, და უსამართლოთ ართმევდენ ტახტს და სამეფოს. რასაკვირველია, ჟანას ესმოდა ყოველივე ეს და თანაუგრძნობდა საცოდავ დოფინს (ტახტის მემკვიდრეს). ალბათ ამითი აიხსნება, რომ ყოველ ჩვენებას, რომელიც მას ევლინებოდა, სარჩულათ პოლიტიკური აზრი უდევს და ისტორიული მომენტი გამოსჭვივს. სწორეთ ამ ნიადაგზე აღმოცენდა ის არა ჩვეულებრივი ენტუზიაზმი, რომელიც ჟანამ გამოიჩინა შემდეგში. იგი 15 წლისა იყო, როდესაც მას კვლავ მოევლინა მთავარ-ანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „წადი საფრანგეთში და დაავგირგვინე დოფინი. წმიდა ეკატერინე და წმიდა მარგარიტა იქნებიან შენი მფარველნი“.

ჩვენებები გაუხშირდენ, ჟანა დარწმუნდა, რომ სწორეთ ზეცა ავალებდა მას ასეთ ძნელ საქმეს და აყვედრიდა თავის თავს, რომ ასე იგვიანებდა. ბოლოს იგი მივიდა თავის ბიძასთან და ყოველივე გამოუცხადა. მან მოაგონა თავის ბიძას ძველი თქმულება, რომელიც ამბობდა, საფრანგეთს ქალწული დაიხსნისო და გამოუცხადა, რომ ის მხსნელი მე ვარო. თხოვდა, დამეხმარე, ვოკულერის ქალაქის უფროსმა ჯარი მომცეს, რომ დოფინთან შინონში გამაცილონო. ბიძამ მიიყვანა ჟანა ქალაქის უფროსთან, მაგრამ მან სასაცილოთ აიგდო იგი და უარი უთხრა. მხოლოთ მესამეთ როცა მივიდა ჟანა, იგი დაეთანხმა, რადგან თვით ხალხში გავრცელდა ხმა, რომ ჟანა ღვთისაგან იყო გამოგზავნილი. მას მისცეს რამდენიმე მეომარი და ისიც გაუდგა გზას ცხენით, კაცური ტანისამოსით. მთელი მხარე ინგლისელებს და ბურგონიის მხედრებს ეჭირათ ხელში, მაგრამ ჟანამ შეიდობით მიახწია კარლოს VII რეზიდენციაას და შევიდა შინონში.

კარლოს VII-ემ არ იცოდა, მიეღო თუ არა საკვირველი ქალი. ბოლოს მან ჩაიცვა ისე, როგორც სხვებს ეცვათ, გაერია თავის ამალაში და უბძანა შემოეყვანათ ჟანა. თუმცა კარლოსი თვალით არ ენახა და არც იცოდა თუ იგი ამალაში ერია, მაგრამ ჟანამ პირდაპირ გამოარჩია იგი და უთხრა; „მე გამოგზავნილი ვარ ღვთისაგან, რომ შენ, ნამდვილი მემკვიდრე ტახტისა, წაგიყვანო რეიმსში გვირგვინის საკურთხებლათ“.

ცოტა ხანს შემდეგ კარლოსი დარწმუნდა მის სიმართლეში, მაგრამ მაინც დასამტკიცებელი საბუთი მოთხოვა. მან უპასუხა, რომ როდესაც ორლეანს ავიღებ მაშინ დარწმუნდებით, რადგან ღმერთს ასე სურს, რომ მხოლოთ ორლეანში გიჩვენოთ სასწაულიო.

ეპისკოპოსებმა და ღვთის მეტყველების დოქტორებმა გამოცადეს ჟანა სარწმუნოებაში. ანჟუს ჰერცოგის მეუღლემ და სხვა პატივცემულმა ქალებმა დაამტკიცეს ჟანას უბიწოება, ეს საჭირო იყო იმის საბუთათ, რომ იგი, როგორც უმანკო ქალწული, მაშინდელი შეხედულობით, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეშმაკეული.

ქალ. დამასკის მდინარე.

შინონიდან ჟანნამ წერილით თხოვა სამღვდელოებას, ფიერბოაში წმ. ეკატერინეს საყდრის ახლო მიწაში იპოვით ხმალსა და გამომიგზავნეთო. დამარხული ხმალი მართლა იპოვეს იმ ადგილს დ̃ ყველას უკვირდა, რომ წმინდის დროს ჟანგი მეტათ ადვილათ ეცლებოდა. ჟანამ შემოირტყა ეს ხმალი, ხელში დაიჭირა თეთრი დროშა, რომელზედაც დახატული იყო ღვთისმშობლის სახე დ̃ პირდაპირ შევიდა ორლეანში. ინგლისელებმა ვერ გაბედეს გზის შეკვრა. ორლეანის მცხოვრებთ კი იგი ნამდვილ ზეცის მოციქულათ ეჩვენათ და რწამდათ, რომ იგი თვით ღვთისაგან იყო გამოგზავნილი. ამას შემდეგ ჟანამ კიდევ აიღო რამდენიმე სიმაგრე. მის სახელს ინგლისელები შიშით იხსენებდენ, ფრანგები აღტაცებით. ხალხს გული მოეცა, მტერი კი სულით ეცემოდა, რადგან რწამდა, რომ ჟანას უსათუოთ მავნე სულთან უნდა ჰქონდეს კავშირიო.

საკვირველი ქალი ხედავდა ხალხის გატაცებას და ცდილობდა დრო არ დაეკარგა. იგი იწვევდა კარლოს რეიმსში გვირგვინის საკურთხებლათ, მაგრამ მცონარა კარლოსი ვერა ბედავდა.

ბოლოს როგორც იყო, რამდენიმე ახალ გამარჯვებას შემდეგ ჟანამ დაითანხმა კარლოსი; კარის კაცთ შურდათ ის გავლენა, რომელიც ჟანამ მოიპოვა უკანასკნელ ჟამს და ცდილობდენ კარლოსისთვის მასზე გული აეყრევინებიათ. მაგრამ ხალხი აღმერთებდა ღვთისაგან გამოგზავნილ ქალს და თხოულობდა მისი სიტყვის ასრულებას. 12000 კაცით კარლოსმა როგორც იყო გაბედა რეიმსში წასვლა, თუმცა რამდენჯერმე დააპირა უკან დაბრუნება. მეტადრე მაშინ შეშინდა კარლოსი, როდესაც ერთმა ქალაქმა კარები დაკეტა, რადგან შურისძიებისა ეშინოდა. მაგრამ ჟანამ დააპირა იერიშით მისვლა ქალაქზე და შეშინებულმა ქალაქმა ქედი მოიხარა. 17 ივლისს 1429 წ. რეიმსში მოხდა კარლოსის დაგვირგვინება იმ წესით და რიგით, როგორც მოითხოვდა ჩვეულება.

გვირგვინის კურთხვის დროს ჟანა დროშით ხელში თავს ადგა კოროლს. მთელი ევროპა განცვიფრებით უგდებდა ყურს საკვირველი ქალის მოქმედებას. ამ გვარათ ჟანამ შეასრულა თავისი დანიშნულება, რომლისთვისაც იგი მოწოდებული იყო.

მაგრამ ჟანას ბევრი მტერი გაუჩნდა თვით საფრანგეთში. სამღვდელოება და სასახლის კაცნი ყველანი მას ემტერებოდენ. უკანასკნელთ მეტადრე ისა წყინდათ, რომ ჟანას წყალობით მათ დაკარგეს თვისი წინანდელი გავლენა. ინგლისელები ჯერ ისევ საფრანგეთში იყვენ, პარისი მათ ხელში იყო. ბედფორდის ჰერცოგი, რეგენტი საფრანგეთისა, რომელიც ინგლისის ინტერესს საკვირველი თავგამოდებით იცავდა, არა ცხრებოდა და ომს აპირებდა. მართ-

ინდოეთის ველური კამეჩი.

ლაც მოაწყო თუ არა მან თავისი საქმეები კარგათ, მაშინვე მიწერა კარლოს VII წერილი, რომელშიაც შეურაცხყოფას აყენებდა მას და უძახდა უკანონო მემკვიდრეს, რომელმაც ძალათ დაიჩემა ტახტი. ყოველი უბედურების ბრალს მას აღებდა. სხვათა შორის უსაყვედურებდა, გარყვნილი ქალის წყალობით, რომელსაც კაცის ტანისამოსი ჩაუცვამს, შენ ატყუებ ხალხსაო და პასუხის მიმცემიც შენ იქნებიო. ჟანა ურჩევდა კარლოსს, რომ მაშინვე დაცემოდა პარისს, მაგრამ ვერას გახდა. ჟანამ სახლში დააპირა დაბრუნება, მაგრამ არ გამოუშვეს. მერე თუმცა მიიტანეს იერიში, მაგრამ პარისი ველარ აიღეს, თითონ კარლოსმა არ მიიღო მონაწილეობა და ვისაც ჯარი ჩააბარა, ისინი სულ ჟანას მტრები იყვენ. ამან მეტათ შეაწუხა ჟანა და მოინდომა მონასტერში შესვლა, მაგრამ არც მაშინ გაუშვეს. მის მოქმედებას მოაკლდა სიმტკიცე, რადგან კარგათ ხედავდა კარლოსის უვარგისობას და სხვების მტრობას. ჯარში დისციპლინა და წესი დაეცა. ერთ უბრალო შემთხვევასაც ჰქონდა თვისი ცუდი შედეგი: ერთხელ ჟანამ პტყლათ დაარტყა თვისი ხმალი ერთ გარყვნილ დედაკაცს და ხმალი გადატყდა. ეს ის ხმალი იყო, რომელიც მიწიდან ამოათხრევინა. ყოველივე ესე მოქმედებდა როგორც ჟანაზე, ისე ხალხზე და მართლაც მან დაკარგა უწინდელი გავლენა. მისმა მტრებმა განგებ გამოიყვანეს ვილაც ქალები, რომლებიც ვითომ ხედავდენ ჩვენებებს. ეს, რასაკვირველია, მხოლოთ ჟანას გავლენის დასაცემათ იყო მოწყობილი.

ჟანა მოშორდა უმადურ მეფეს, წაიყვანა ცოტა ჯარი და ცალკე ეომებოდა მტრებსა. მაგრამ 23 მაის 1430 წ. კომპიენთან ბრძოლაში იგი ტყვეთ ჩაუვარდათ ინგლისელების მომხრე ფრანგებს. ინგლისელებს, რასაკვირველია, გაუხარდათ ჟანას ტყვეთ დაჭერა, მაგრამ საფრანგეთის ხალხი კი მეტათ შეაწუხა ამ ამბავმა. კარლოსის კარის კაცთაც უხაროდათ, რომ თავიდან მოიშორეს ეს თავისებური მოთათბირე მეფისა.

რეგენტმა ყოველი ღონისძიება იხმარა, რომ ჟანა ინგლისელებს ჩავარდნოდა ხელში. იმან 1000 ოქრო მისცა ლექსანბურს, რომელსაც დატყვევებული ჰყავდა ჟანა.

ბოვეს ეპისკოპოსი კოშონი ყოვლად უზნეო კაცი, რომლის სახელი შეაჩვენა ისტორიამ, დიდ მონაწილეობას იღებდა ამ საზიზღარ საქმეში. არც რეიმსის არქიეპისკოპოსმა, რომელიც უფროსი იყო კოშონის და არც თითონ კარლოს მეშვიდემ ყურიც არ გაიბერტყეს და კრინტი არ დაძრეს უბედური ქალის საშველათ. ინგლისელებმა კარგათ იცოდენ, რა დიდი გავლენა ჰქონდა ჟანას სახელს მის სამშობლოში და გადაწყვიტეს მისი მოკვლა. 1430 წ. დეკემბერში იგი მძიმე ჯაჭვით შებოჭეს და რუანის ერთ კოშკში ჩააგდეს. 3 იანვარს კი ,,ინგლისის და საფრანგეთის" მეფის ჰენრიხ VI სახელით ებრძანა ბოვეს ეპისკოპოზს კოშონს, გამოიძიოს საეკლესიო სამსჯავროში ღვთის მორწმუნეობა ჟან დარკისა, რომელიც თავის თავს ქალწულს უწოდებს. თუ მას სასულიერო სამართალი გაამართლებდა, მაშინ იგი უნდა გადაეცათ საერო სამართალში, რომელიც, რასაკვირველია, ,,კანონიერი" მეფის წინააღმდეგობისთვის დასჯიდა.

მეტათ გულშემზარავს სურათს წარმოადგენს ის სამართალი, რომელშიაც უმთავრესი მონაწილეობა მიიღო სულმდაბალმა და გარყვნილმა ეპისკოპოსმა კოშონმა. ეს პროცესი ნამდვილი ბარბაროსული, ინკვიზიციური პროცესი იყო და, უეჭველია, საკეთილო არ იქნებოდა საცოდავი ქალისათვის.

ა.

(შემდეგი იქნება)

ინდოეთის ველური კამეჩი.

ინდოეთის ველური კამეჩი ისე, როგორც ვეფხი, ითვლება ერთ უსაშიშროეს და უსაშინელეს მხეცათ ინდოეთის გაუტეხარი ტყეებისა. ამ საშიშარ ცხოველს სიგრძით აქვს საჟენ-ნახევარი და სიმაღლე ერთ საჟენამდის აღის. მისი თავი მოკლე და განიერია, ვინემ ჩვენებური ხარისა; ღონიერი ფეხები შედარებით მოკლეები აქვს; მის თვალებს რაღაც საშიშარი და მხეცური გამომეტყველება აჩნია; რქები ძლიერ გრძელი და მაგრები აქვს. მისი ტყავი მხოლოთ ზურგზე არის დაფარული მოშავო, ანუ მიხაკის ფერი ჯაგარით. ველური კამეჩი დიდი მოყვარულია წყლისა და ამიტომ მხოლოთ მდინარეებთან, ხეობებში და ჭაობიან ადგილებში ბინადრობს. იმას უყვარს წყალში წოლა ან და რბილ ბალახზე გორვა. ეს ცხოველი მეტის-მეტი შეუპოვარია, იცის საშიშარი ბღავილი. დიდი გონიერი არ არის, მაგრამ მისი თავ-შეუკავებელი სიმარდე გასაოცარია. ინდოეთის საშიშარი ვეფხი, რომელიც ძალით არ ჩამოუვარდება ლომს, ველური კამეჩის წინაშე ქედს იხრის, თუ იმისთანა შემთხვევა ვერ გამონახა, რომ ზურგზე დაახტეს და გაგლიჯოს.

ჩვენი ნახატი წარმოგვიდგენს შემდეგს: ორი ვეფხი, ფიქრობენ წყალში მწოლარე კამეჩების,

თავზე დაცემას. მაგრამ ამ განზრახვას ისინი ვერ შეასრულებენ, რადგანაც სამი კამეჩი უშიშრათ შეებრძოლება ორ ვეფხს და რქებზე ჩამოიცმენ. საზოგადოთ ველური კამეჩები, ვეფხის დიდი მტრები არიან. მოგზაური ჯონსონი მოგვითხრობს, რომ ერთხელ ქარავანის უკან მიმყოლ კაცს დაეცა ვეფხი. მწყემსი, რომელსაც მახლობლათ კამეჩების ფარა მოუდიოდა, მიეშველა და ვეფხი დაჭრა. მაშინ უკანასკნელი მიიქცა იმისაკენ გასაგლეჯათ, მაგრამ დაინახეს თუ არა ეს კამეჩებმა, იმავე წამში გაექანენ ვეფხისკენ და თავისი საშიშარი რქებით სულ ნაკუწ-ნაკუწათ აქციეს.

ივანე კოტორაშვილის ამბავი

(კარსჯლის ხაამბობი).

III. *)

მიამბობ, კიდევ გიამბობ,
ყური დამიგდე კარგათა,
თუ არ მიიჩნევ ნაუბარს
გულის და გონის ბარგათა.
სრულ ვერ გიამბობ ივანეს,
რაც საქმე ჩაუდენია.
ცოტას კი გეტყვი: მრავალი
ტყვეობას გადურჩენია,
ქართველი კაცის მას სისხლი
მტრისთვის არ შეურჩენია,
ბევრის სიკეთის მომქმედსა
თავი არ დაურჩენია.
არ უყვირია სხვებსავით —
ეს მადლი დამითესია,
ყოფილა ჩუმათ თავისთვის,
როგორც ვაჟკაცის წესია.
სხვებს უთქვამთ, მტრისთვის ივანეს
რაც ცეცხლი დაუკვესია.
დღე და ღამ სოფლის დარაჯსა
ერთხელ არ დაუკვნესია.
დაჩლუნგებული მახვილი
ისევე გაულესია.
რა ნდომა ჰქონდის ომისა,
როგორაც ლოთსა-ღვინისა;
ომის წინ ქრქოლა მოუდის,
ტანს ურხევს მოვლა ჟინისა.
წესი არ იყო საფერხეთ
ცხენ-ჯორის ყოლა იმისა
ქვეითა იყვის მგელივით
ქორ-შავარდენზე მარდია —
ოღონდ მტერს ეტევებოდეს,
სხვა არა ჰქონდის დარდია.
—ან ცხენი რისთვის უნდოდა,
ტყეში ათასი ბარდია!

IV

ერთხელ ყვარლის თავს ვიყვენით
ჯარათ დამდგარნი მთაზედა;
ლეკებს აეკლო კახეთი
იმათ მივდევდით კვალზედა.
ადგილს ვემწყვდიეთ მჭიდროსა,
ქანჩახებს შორის უგზოსა.
მოგვეპარებიყვენ ლეკები,
ფიქრსა ფიქრობდენ ულვთოსა.
დაღლილ-დაქანცულ გვეძინა
ნამი ნაბდებზე გვცვრეოდა,
მარტო ივანეს ეფხიზლა:
ლაშქრობას ძილი რცხვენოდა.
მტრის მოპარება ამ დროსა
ვაჟკაცს ძალიან წყენოდა.
მანამ ჩვენ გავიმართენით,
იმას ხელთ ხმალი ჰშვენოდა,
ლეკების სისხლი თხის ტყავზე
ჭია ფრად გადაჰფენოდა.
შეეთოთქორა მტრის ჯარი
და შეეჩერა სერზედა.
ანგელოზს ჰგვანდა ივანე,
რო დაგეკვლია ფერზედა.
ერეკლემ მაშინ ჩაუდვა
თავის ბეჭედი ხელზედა..
ჩვენც მივეშველეთ და მტერი
წინ გავირეკეთ ხევზედა.
ხმ ლ-ხანჯლის ელვა-პრიალი
ჰშვენოდა დილით მზეზედა.
დაგროვდა ლეკის თავები
უმრავლეს ქვიშა, ბზეზედა.

V

ერთხელ მოსულან ლეკები,
ის დალისტნელი ძაღლები,
არხლით ტყვეთ წაუყვანიათ
კაცი, ქალი და ბალღები.
თურმე ერთ-ურთზე გაბმული
მიუდის ჩვენი ტყვეები,
პირ-ილტოსაკენ გადიდენ,

*) იხ. „კვალი“ № 27.

გაელეს ჩაბანოს ტყეები.
გაიგო კოტორაშვილმა,
ცეცხლი დაენთო სახეზე.
,,არ გათრეინებთ რჯულ-ძაღლთა''
ზედ დაეწერა კვახეზე.
გაუდგა მდეერათ მარტოკა,
ოფლი დიოდა შუბლისა.
იმან თავის დრო იცოდა,
დრო ტეევების და ჩხუბისა;
უკილოთ როდი დაიწყის
ქნევა ხმლისა და შუბისა.
მისდეევდა შორი-ახლოსა—
თვალს ადევნებდა შორითა;
ნახა, რომ ლეკის ლაშქარი
თაქვე დაეშვა გორითა.
ილტოზე როცა ჩავიდენ,
შეუდგენ ლოცვა-ბანასა,
რას მოელოდენ მდეევარსა
და ეაგლახს იმისთანასა.
ტყეეები დაბუზულები
წვანან წყლის პირათ ჩალასა.
ივანე ახლოს მიუჯდა
იმ ხელის მიმცემს ხანასა.
ხმლით დაერია ლეკებსა,
მისთიბდა როგორც ყანასა.
გაჭლიტა ყველა და ერთიც
აღარ გადურჩა მძეელათა.
არ დარჩა ერთი წამღები
ამბის დაღისტნის ეელათა,
აღარ ეღირსა არც ერთსა
დაჯდომა თავის კერათა.
ტყეებს დაუხსნა ხელები,
მისცა ლეკების აბჯარი,
თავისთვის არ გაუწირავს
დანაც კი, გან თუ ხანჯალი.
აბა რა გაამჯიდრებდა,
გუნება ჰქონდა ამ გვარი!
გაჰქრა თვით უღრანს ტყეშია,
გაფრინდა, როგორც კანჯარი.
ღონესთან ჭკუაც დიდ ჰქონდა,
გული ხომ ედვა ლომისა,
მეტათ ლამაზათ იცოდა
წესი და რიგი ომისა.
მას არა ჰქონდა წესათა
მტრისთვის მოეჭრა მარჯვენა;
ან კი სად დაეტეევოდა,
მას ერგებოდა რამდენა?!
,,მტერს რო მოკვლიდის'', იტყოდის:
,,ეეღარა ეჯიჯგნი; მრცხვენია,
მკვდარს რო მარჯვენა მოვაჭრა,
რა ჭკვაში მოსახდენია.
რა ბიჭობაა უსულოს
ლეშს კიდეე სისხლი ვადინო,
რა გაიგება, უფალსა
იქნებ ამით რამ ვაწყინო...''
ერთი შეემთხვა მას საქმე
მინდა იმ ამბით გაცინო.

VI

მკათათვე არის, ხომ იცით,
გაჩაღებული ზაფხული;
მთა-ბარი ამწვანებული,
ველი ყანებით შემკული.
ადგა ივანე წავიდა
და იორშია ბანაობს,
ერთ დიდ მორეეში დაცურავს,
ტიეის ხესავით ქანაობს.
ივრის პირს დიდი ლოდია
ჩამოთრეული მთიდანა,
შავ-ფერა ჩამონახეთქი
მაღალის შავის კლდიდანა.
ამოხდა, ქვაზე ჩამოჯდა,
მარტოკა შალვრის ამარა;
შუა დღის ხანიც მოვიდა
და ცამაც მოიკამარა.
იქავე ტყეა. ახლა ტყე
ხომ აღარ არის ხშირია,
ერთი გორობა ჩამოდგამს
ჭალას უბჯენავ ცხვირია.
სოფლიდან ვერ მიაწვედა
იქამდის დანაყვირია.
კარგა შორია. ცხენისთვის
სწორეთ ერთ მუხლათ სარბენი.
იმ ცხონებულსა ,,ვაიმე''
საქმე გადაჰხდა რამდენი!
კაცს, ალბათ, არ თუ აცდება
რასაც დაუწერს გამჩენი.
ის ნიადაგ ცხონდება,
იმ საქმეების ჩამდენი.
თურმე იმ გორზე ლეკებიც
მამლის ჯოგივით მსხდარიყვენ,
სადაელოს უთვალთვალებდენ
რჩევა-თათბირზე მდგარიყვენ:
ვინ დაეტანჯათ, ეწვალათ,
ელხინათ იმის ბრალითა—
და ამ დროს არ დაინახეს
კოტორაშვილი თვალითა!

ჩვენის ივანეს დაჭერა
ერთს ლეკს აეღო კისრათა.
ტიტველ ტყვის შესაპყრობათა
კიდეც წასულა ფიცხათა.
უკანით მიჰპარებია,
დაუტაცია ხელები.
რიღათ აისხნას ივანემ
მკლავს დახვეული გველები,
„ლეკო, შენ მიჭერ?!“ ეს კი თქვა,
ხმალს ბეჩავს ვინღა მისცემდა;
ხმალიც შორს იდვა, ფარიცა,
თუმც იქით გული მისწვედა.
ეს ღა ილონა: წამოხტა—
და გამოიქცა შინაო,
ლეკი კი ზურგზე აკერია,
კისერში გაეკბინაო.
კბილით ეგლიჯა კისერი
და სისხლი ჩაედინაო.
ცოცხალ-ცოცხალი ლეინა
სოფელში მოგვიჩინაო.
ზურგით რო ესხნიდით მეკობარს
მაშინ კი გაიღიმნაო.
რა აცინებდა ბეჩავსა:
სისხლი კოჭამდე სდენოდა,
რჯულ-ძაღლს ძაღლიეთ ეგლიჯა,
მხარ-ბეჭზე ჩამოდენოდა;
მაგრამ ივანეს მის კბენა
ოდნავაც არა ტკენოდა.
ლეკი ცოფიან ძაღლს ჰგავდა,
სისხლიანს კბილებს აღრჭენდა
და თვალებს გაფაციცებით
აქეთ და იქით არბენდა.
რა აშინებდა ბეჩავსა
იმას არავინ არბევდა.
გაოცებული გვიცქერდის,
ილმიჭებოდის ცუდათა,
ის თუ ეგონა მოეკლავდით
და გაებერავდით გუდათა.
სწორა ნაფიქრი ხან-და-ხან
კაცს აუხდება მრუდათა!
უფრო ივანეს უცქერდის
თავით ფეხამდე ჰზომავდა;
თავის თავსა და იმასა
თითქოს თვალითა წონავდა.
თვალებით „შემიბრალეთო“
გვეუბნებოდა ყველასა.
ღუნთს კი არ აგდებს, მარტოკა
აცმაცუნებდის წვერასა.
ლეინა ჰგვანდა მაშინ ის
ხაფანგში გაბმულს მელასა.
ივანემა სცა ნუგეში:
„ნუ გეშინია ძმობილა,
არ მოგკლავს კოტორაშვილი,
ივანე დედი-შობილა!“
და არც რო მოჰკლის, როს მტერი
გვიეარდებოდა ხელათა,
გულში კი მაინც შურობდა,
ეკიდებოდა ხმელათა...
არ გვაცემინა ლეკისთვის
შამოგვიტია მკვახეთა.
„მოჰშორდით, თავი ანებეთ,
ავს ფიქრს ნუ გაიძრახებთა!
რა ქნას, თავისას ცდილობდა
სხვა რომ არ ჰქონდა სახსარი,
კბილები იყო მაგის ხელთ,—
მაგის ხმალი და ხანჯალი.“
ჩვენც გაუკონეთ... მაგრამ კი
ბალღები ჩხვლეტდენ ჯოხებსა
და აფარებდენ თვალებზე
ზოგი ქუდს, ზოგი ჩოხებსა.
მთელი ქვეყანა იქ შეკრბა
სოფლიდან, დიდი, მცირია.
ქალებს ივანეს საცქერლათ
მოელამაზათ პირია.
შეჰფოფინებდენ ვაჟკაცსა,
რაკი მოწონდათ გმირია!
მაგრამ ვაჟს რას ათამაშებს
მათი დაკრული სტვირია!?!..
ვერც კი ჰხედავდა, სად იყვენ
სხვაგნით ეჭირა ცხვირია,
ამ შემთხვევაში ნამდვილათ
იყო უცოდეო მწირია.
არ დაგიდევდა ქალთ ტრფობას,
ჩალათ არ ჩაგიხედავდა;
დიაცთ მიმყოლსა ვაჟებსა
ძლიერ ცუდს თვალზე ჰხედავდა...
ბოლოს კი ცოლიც მოვვარეთ,
გადაეეკიდეთ სოფელი:
„უძეოთ რათ იკარგები,
რათ ჰხდები ღვთისა მგმობელი“.
და როგორც იქნა გავხადეთ,
ერთის ვაჟის მშობელი.

ცოლი ჰფიცავდა თვითონა
როდი ჰმალავდა ამასა:
„თუ არ მე, ახლა ეგ ბალღი
არ ექნებოდა მაძასა.
ეს იყო მისი ბუნება,
იყო ამ გვარის ზნისაო,
კოტორაშვილი ივანე
ლეგა მიმინო მთისაო.

ᲒᲐᲯᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ.

(შემდეგი იქნება)

კრიტიკული წვრილმანები.

I.

ᲒᲐᲜᲐᲓᲘᲡ ᲕᲘᲮᲓᲘᲗ მკითხველთან, რომ დღეანდელი წერილი თვით ჩვენი ლიტერატორების მიერ ჯერ-კვარცხულ და წამებულ ქართულ ენაზე ლაპარაკით უნდა დავიწყოთ. იქნება ასეთ წერილში ეს ერთობ უალაგოთაც გეჩვენოს, მკითხველო; ჩვენც გეთანხმებით; მაგრამ რას იზამთ, როცა არც ერთი მწერალი ისე არ გამოსულა ჩვენში სამწერლო ა'პარეზზე, რომ ქართულ ენასა და „ვეფხის-ტყაოსანზე“ არ დაეწყოს წერა. ვინ იცის, იქნება ქართული ენა და სახელოვანი შოთას „ვეფხის-ტყაოსანი“ ქართული მწერლებისათვის ის წმინდა ქაბა იყოს, რომელსაც „ყველა ცოტათ თუ ბევრათ შეძლებული არაბი მთელ თავის სიცოცხლეში ერთხელ მაინც ინახულებს, შეიდჯერ თაყვანსა ცემს და შეიდჯერ ემთხვევა და სხვ.“ თუნდა ესეც არ იყოს, ხომ გაგიგონიათ ქართული ანდაზა: „შეჩვეული ჭარი მირჩევნია შეუჩვეველ ლხინსაო“, რაც შეურყეველ ჭეშმარიტებათ მიაჩნია ქართველ კაცს.“

ამას შემდეგ აბა, რა გასაკვირია, რომ ჩვენც მამათა მცნებას არ ვღალატობთ და ქართულ ენაზე ლაპარაკით ვიწყებთ ჩვენს წერილს...

დღეს ყველა შეგნებული ადამიანისთვის ცხადია, რომ ენა ისე განვითარებული, როგორც დღესა გვაქვს, თავდა-პირველათ არ გაჩენილა. მეცნიერებამ დღეს საკმარისათ ნათელი მოჰფინა სხვათა შორის ენის განვითარების ისტორიასაც დიდებულმა დარვინმა ჩინებულათ დაგვიმტკიცა, რომ ენაც იმავე ევოლიუციის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველისფერი. მოგზაურები დღესაც ასახელებენ ისეთ ველურ ხალხებს, რომელთა ლექსიკონიც მხოლოთ რამდენიმე სიტყვისაგან შედგება. უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი განათლებული ერების ენაც ასეთი იქნებოდა ოდესმე. მაგრამ დღეს კი ამ ერთა ენა ძირითადათ განირჩევა პირველ-ყოფილ და ველურ ხალხთა ენებისაგან.

რას მოუხდენია, მკითხველო, ეს ცვლილება? რას შეუქმნია ის შვენიერი მუსიკალური ენა, რომელიც ასე სხვა-და სხვა ჰანგებზე გესმის და გეტკბობს სმენას?

ამაზე გადაჭრილ პასუხს იძლევა მეცნიერება და ეს პასუხი უმეტ-ნაკლებოთ შეგვიძლია შემდეგი ანდაზით გამოვთქვათ: „საჭიროება დედაა ყოველი შემოქმედებისა“...

ძველათ, როცა ეროვნული კარ-ჩაკეტილობა სუფევდა, როცა არა თუ მთელი ერი თვით კერძო თემი, სოფელი და პატარ-პატარა საზოგადოებებიც კი ჩინური კედლებით იყო გარე მოცული, ენაც მარტივი და თავისებური იყო. ეს იმიტომ, რომ ყოველი ერი, ან ერის რომელიმე ნაწილი განკერძოებულათ ცხოვრებდა, თავისი ინდივიდუალური ინტერესები ჰქონდა. არც ერთი ერი არ დაგიდევდა სხვა რომელსამე ერის ცხოვრებას, ან კი რა საჭირო იყო ეს მაშინ, როცა ყველას თავის კარ-მიდამოში, თავის ჭერ-ქვეშ შეეძლო ცხოვრება. ის არა თუ სხვა მეზობელი ერების ცხოვრების შესწავლას არა ცდილობდა, პირ-იქით, კიდეც ეშინოდა თავს არავინ დამეცესო. ამიტომ ის სრულებით არ დაეძებდა გზებს სხვასთან მიმოსვლისათვის.

რა თქმა უნდა, ამ დროს ყოველ სოფელს თავისი განსაკუთრებული ცხოვრება ჰქონდა; ყოველი სოფელი, ყოველი თემი თავისებური იარაღით იმაყოფილებდა ყოველგვარ მოთხოვნილებას. ამ დროს ენაც, როგორც ერთი უსაჭიროესი იარაღთაგანი, თავისებური და ინდივიდუალური უნდა ყოფილიყო. მაშინდელ ენას ძლიერ ცოტა ნათესაობა ჰქონდა თავის მეზობელ ენებთან. კიდეც მეტს ვიტყვით: არა თუ სხვა ერების ენებთან, თვით ერთი რომელსამე ერის ენაც სულ სხვა-და-სხვა ნაწილებათ, სხვა-და-სხვა დიალექტებათ იყო დაყოფილი, თვით ერის გეოგრაფიულათ დანაწილების მიხედვით. ეს იქიდანაც მტკიცდება, რომ დღესაც, როცა ენა და ლიტერატურა ასე განვითარდა, ყველა ერის ენა საესე პროვინციალიზმებითა. ასი წლის წინეთ, საფრანგეთის დიდი რევოლიუციამდე, თითონ ფრანგული ენა რამდენსამე სხვა-და-სხვა პროვინციალურ ენათ იყო დაქუცმაცებული. მაშ რა გასაკვირველია, რომ ვანდეელ გლეხს პარისელი ფრანგული ვერ გაეგო, პარისელს ვანდეელი და სხვა?.. მაგრამ განა მარტო ვანდეა? თვითონ ლიონი, ის ლიონი, რომელსაც მილტიადის დიდების გვირგვინი მოსვენებას არ აძლევ-

და და თვით პარისს ეცილებოდა პირველობას, ძლიერ განირჩეოდა და დღესაც განირჩევა ამ მხრით. აბა, ამას შემდეგ რაღა გვეთქმის ჩვენ თანამოძმეებზე: მეგრელებზე, სვანებზე და მთიულებზე?..

დღეს ყველა ერთ ხმათ აღიარებს: მეგრული იგივე წამხდარი ქართულია. მაგრამ იმას კი ვერავინ გვეუბნება, თუ როგორ მოხდა ეს ასე. ჩვენის აზრით, თუ მეგრული იგივე წამხდარი ქართულია, ეს უნდა აიხსნას სათემო კარ-ჩაკეტილობით.

მაგრამ დრონი იცვალენ და სხვა და-სხვა ერთა შორის აღმართული ჩინური კედელი დაირღვა... ძველი კარ ჩაკეტილობის ალაგი ცხოვრების ახალ პირობებმა დაიჭირა. საჭირო შეიქმნა სხვა-და-სხვა თემთა და ერთა შორის მუდმივი კავშირის დამყარება. თანდათან გაიზარდა და გაცხოველდა სხვა-და-სხვა ერთა შორის დამოკიდებულება, მიმოსვლა; გაჩნდა აღებ-მიცემობა, ვაჭრობა. ეს ცვლილება მოახდინა კაპიტალისტური წარმოების აღორძინებამ. ამისათვის გაიჭრა გაუვალი ტყეები, და იქ, სადაც უწინ ჩიტიც კი ვერ გადაფრინდებოდა, გაჩნდენ რკინის გზები, ტელეფონ-ტელეგრამები, ორთქლით მავალი გემები... ადამიანი ძალა-უნებურათ აიყოლა კვალ-და-კვალ ცხოვრებამ; ძველათ თუ თავის სოფლის გარეთ არაფერს ხედავდა, დღეს დედა-მიწაზედაც აღარ ეტევა.

ყველა ამას ის მოყვა, რომ ცხოვრება დღეს ყველგან გაერთიანდა, თუ ასე შეიძლება ითქვას; დღეს ყოველ ხალხს ერთი და იგივე საზრუნველი აქვს; დღეს რაც ევროპას აწუხებს და აფიქრებს, ის აწუხებს და აფიქრებს რუსსაც, ქართველსაც, სომეხსაც.. ყველასთვის ერთი და იგივე უკმეხი კითხვა წამოუყენებია ცხოვრებას: „ან შემომიერთდი და ჩემს ფერხულში ჩამოდგი ფეხი და ან საიქიოსაკენ გამემგზავრეო“.

აი, აქ ინგრევა ბაბილონის გოდოლი. აქ უახლოვდება ერთი ერის ენა მეორისას. ცხოვრების გაფართოებამ დაბადა საჭიროება უწინდელი ვიწრო ფარგლით შემოხაზული და მარტივი ენის გაფართოებისა. ამის გამო ერთ ერის ენასაც არ შერჩენია დღეს ძველი ქალწულებრივი სიწმინდე. ამას ყველა კარგათ გრძნობს; მაგრამ არც ერთი შეგნებული ადამიანი, არც ერთი შეგნებული ნაწილი კაცობრიობისა არა წუხს ამაზე. არც ერთ დაწინაურებულ ერს, რომლის ისტორიულ მსვლელობასაც კი აჩნია კულტურის ნიშანწყალი, არ გადაუქცევია ამის შესახებ წუწუნი ცხოვრების მიზნათ; მართალია, ენა მრავალ მეცნიერთა კვლევა-ძიების საგნათ არის დღეს გამხთარი, მაგრამ ამ კვლევას ძველი ენის ადგენა, და ცხოვრებაში შემოღება კი არ აქვს სახეში.

ენათა მეცნიერება პირიქით სულ სხვა გზას დაადგა ამ ბოლო დროს. ის, ერთი მხრით, ყოველ ღონეს ხმარობს გამოიკვლიოს ენის განვითარების პირობები და მეორე მხრით, რაც შეიძლება სულ უფრო და უფრო დაუკავშიროს ერთი ენა მეორეს. კიდევ მეტს ვიტყვით: ის ცდილობს ერთი მსოფლიო, საერთა-შორისო ენის შექმნას. ამიტომაც ამ ბოლო დროს ენათა მეცნიერებმა ცადეს კიდეც შემოღება ერთი საზოგადო ენისა, მაგ.: ეოლიაპიუკი, ესპერანტო და სხვა..

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით იმაზე, თუ რამდენათ ნაყოფიერი, რამდენათ სასარგებლოა მეცნიერების ცდა ამ მხრით; ხოლო ის კი ყველამარიტებათ მიგვაჩნია, რომ იმან აიღო ცხოვრების ნამდვილი ალაგი...

ასეთია, მკითხველო, ცხოვრება; აბა, ვის და რას არ უცვალა ფერი მისმა ყოვლის შემძლებელმა მიმდინარეობამ? განა ტყუილათ შეტირის ერთი ჩვენი პოეტი ამ ცხოვრების სასტიკ დამარღვეველ ძალას:

„ვჰ, ცრუ სოფელო, დაუნდობელო,
შენშა კეთილი სად არს ფერ-უცვალელო?“

ქვეყანაზე არაფერი არ წარმომდგარა, არაფერი არ განვითარებულა თავისი შინაგანი სურვილითა და ნებით. ყოველიფერი ნაყოფია გარეშე ძალისა, გარეშე მოთხოვნილებისა. ძველ ისტორიას რომ არ გამოვეკიდოთ, აბა ვინ არ იცის, მკითხველო, რომ თითონ ქართველი, ეს ერთი მუჭა, სჯულისა და თავისუფლებისათვის წამებული ერი, როგორ შეიცვალა ამ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში? ქართველმა დღეს უკუაგდო ის ბასრი ხმალი, რომლითაც უწინ მტერს იგერებდა; უკუაგდო ძველი, ნახევრათ ველური ცხოვრება და მოქალაქობრივ გზას დაადგა. და იქ,

„სადაც ქაქმდინ სმდითა და ძალითა ჰფლობდა ქართველი,
მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართველს აწ სვლა“.

რამ მოახდინა ასეთი ცვლილება ამ ცოტა ხანში? რამ შექმნა ეს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე ქართველი ტიპი? რამ შეცვალა უწინდელი მეომარი დევ-გმირი დღევანდელ მრეწველათ, ვაჭრათ და სხვ?.. ამაზე ერთათ ერთ გადაჭრილ პასუხს იძლევა ჩვენი ისტორია: ეკონომიური პირობების შეცვლამ.

თუ უწინ ქართველი მტერს იგერებდა, მაშინ ამას ითხოვდა ცხოვრების პირობები. თუ არა ხმლით, ისე მტერს ვერ მოიგერებდი, ვინც უნდა ყოფილიყავი... მაგრამ დღეს სულ სხვა ქარმა დაჰბერა და ხმლის ალაგი მოქალაქებრივმა ცხოვრებამ დაიჭირა.

რა თქმა უნდა, რომ ენაც ვერ აცდებოდა ამ საერთო ევოლიუციის კანონს; მაგრამ ჩვენი წმინდა ქართულისა და პატრიარქალურ-იდილიური ცხოვრე-

ზის ერთგულ დარაჯებს ვერ გაუგიათ ეს გარემოება; ისინი რაღაც ზეგარდმო ძალით ხსნიან იმას, რომ „რუსთაველის ენა“ დღეს ის არ არის, რაც რუსთაველის დროს იყო... ამ ენის შეცელას ისინი მზოლოთ ახალ-თაობას აბრალებენ და სამართლიანათ თუ უსამართლოთ გოდებენ: ჩვენი ახალი თაობა გადაგვარებ-ს გზას დაადგა, ქართულ განათლებას არ იღებს, ქართულ ენას რიგიანათ არ სწაელობსო. მეორმოცდა-ათე წლებიდან დაწყებული დღემდე ეს შეჰქმნიათ იმათ მსჯელობის და კამათის საგნათ; ამისთვის შეულეევიათ თავიანთი ძალ-ღონე. ერთი თაობა ჩვენში მეორეს ამტყუნებს ენის „გარყვნასა და წაბილწვას“, მეორე მესამეს და სხვა.. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ერთი ჩვენი ნიჭიერი პოეტი, ოლიმპის მთის მწვერვალიდან თავისებური ზე-აღმტაცი ძალით აკენესებდა ჩანგს და ზედ ნაღელიანათ ამღერებდა.

„რა ენა წასდეს, ერიც დაეცეს,
წაეცხოს ჩირქი ტაძრსა წმინდასაო“..

ეს სიტყვები თითქმის დღესაც ჭეშმარიტებათ არის მიჩნეული ჩვენ ლიტერატურაში და იქნება ეს იყოს მიზეზი, რომ ყველა ჩვენს მწერალს ენაზე წერით მოუნდომებია თავის გამოჩენა.

ᲣᲐᲠᲘᲑᲘ.

რედაქციამ მიიღო შემდეგი გამოტემანი:

1) სამი მსხვერპლი, დრამა 5 მოქმედებათ და 6 სურათათ, თხზულება დ. ჯავახიშვილისა, გვ. 134; ფასი 25 კ.

2) Руско-Грузинскій Словарь по Астрономіи, Зоологіи, Минералогіи и разн. терминовъ техническихъ словъ. Сост. Конст. Димит. Кипіани. Тифлисъ. Цѣна 50 к.

3) უმანკო მსხვერპლნი, მოთხრობა იასე რაჭველისა, ახალ-სენაკი. გვ. 23, ფ. ერთი შაური.

4) ცხოვრება ფილარეტისა, თარგმანი მ. შარაძისა, მეორე გამ. შარაძისა და ამხანაგობისა. გვ. 31, ფასი ერთი შაური.

5) ცხოვრება მარიამ ეგვიპტელისა, თარგმანი მ. შარაძისა, მეორე გამოცემა იმავე ამხანაგობისა, გვ. 17, ფ. ერთი შაური.

* * *

ქ-ნო. რედაქტორო. გამგეობა სურამის უფასო სამკითხველოსი უმორჩილესათ გთხოვთ, ნება მომცეთ მადლობა გამოეუცხადოთ თქვენი პატივცემული ჟურნალი „კვალის“ საშუალებით შემდეგ პირთ, რომელნიც წიგნებით, ფულით და საქმით დაეხმარენ აღნიშნულ სამკითხველოს.

თავადმა ¦ზაქარია ხიდირბეგიშვილმა შემოწირა სრული თხზულებანი მაინრიდისა შვენიერი ყდებით, მიხეილ ნიკურაძემ—14 ცალი ქართული სახალხო ᲬᲐᲬᲘᲚᲘ საყმაწვილო წიგნები, ბ. იუზბაშოვმა—რამდენიმე რუსული წიგნი, აქაურ სასამართლოს მდივანმა როსტომ ჩიკვაიძემ შეაგროვა და გადმოგვცა 36 მ. 80 კაპ., დავით ლოლაძე თბილისში ჩავიდა თავის ხარჯით და სამკითხველოს ფულით იყიდა საჭირო ნივთები.

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲛᲔᲡᲮᲘ.

* * *

ქ-ნო რედაქტორო. გაუგიძრახეთ ამა წლის 1 თებათვიდან დავაარსოთ ს. ალში სახალხო ბიბლიოთეკა. ამ საქმისათვის ჩვენ უკვე მივიღეთ ბ. ᲞᲐ. ᲘᲐ. როსტომაშვილისაგან 18 ცალი წიგნი, თვისივე გამოცემანი, რაზედაც უგულითადეს მადლობას ეუძღვნით პატივცემულ გამომცემელს.

იმედი გვაქს, რომ ჩვენი საზოგადოება გულცივათ არ შეხვდავს ამ საქმეს და აღმოგვიჩენს შემწეობას: ფულით და წიგნებით.

ვიმედოვნებთ აგრეთვე, რომ არც ჩვენი რედაქციები და წიგნების გამომცემელნი ამხანაგობანი დაიშურებენ თავიანთს წვლილს და მოგვაწვდენენ: პირველნი ჟურნალ-გაზეთებს და მეორენი წიგნებს. შემოწირულობა მიიღება ამ ადრესით: Въ м. Сурамъ-Али. Учителю Альской Школы Александру Цицагишвили.

* * *

ᲡᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲝ ᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთუთხმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე კაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავებას შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1896—97 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორკეციც და საბანკო, 4) არითმეტიკა სასნგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფელ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდან. ახლათ შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდან. ყოველ დღე დილის 10 საათიდან თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგეევსა და ნაგორნის ქუჩაზე, ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოთ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზე.

ვინც ქალაქს გარეშე ცხოვრებს, შეუძლია წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ᲕᲐ. ᲛᲐᲜᲣᲔᲚᲘᲜᲪᲡ, ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲨᲘ.

(12—1)

ნ უ შ ო.

(მოთხრობა)

(დასასრული*)

XVII.

სოსანა რუსეთშიაც საუკეთესო მოსწავლეთ ითვლებოდა, იმისმა გამჭრიახმა გონებამ და დაუღალავმა შრომამ იქაც დააწინაურეს ეს ახალგაზდა. ეს კი იყო, ძალიან ბევრს ჯაფაობდა, რადგან ცხოვრებას იცნობდა, კარგათ ესმოდა, რომ შემდგომში არ ექნებოდა იმდენი შეძლება და თამ ვისუფალი დრო ისე მთლათ მიცემოდა სწავლას, როგორც ახლა შეეძლო. ახლა რა ჰქონდა სხვა საზრუნველი? არაფერი, სრულებით არაფერი! ხარბათ დაეწაფა ცოდნას. გარდა ამისა ამ შრომაში ალრჩობდა ნაღველს, რომელიც შემოსწოლოდა იმას მას აქეთ, რაც თავის ქვეყნიდან გასულიყო და ყველაფერ მშობლიურს მოშორებოდა. ერთი მხრით შრომამ, მეორე მხრით ჰაერის სისასტიკემ და შეუჩვევრობამ ცუდათ იმოქმედეს იმას ჯანმთელობაზე.

შესრულა სწავლა. გაგზავნეს დასავლეთ რუსეთში. მართალია, გვარიანი ადგილი მისცეს, მაგრამ იქაურმა სინოტივემ დაზიანებული ადამიანი უფრო დააძაბუნა. იქნება ამ სიმთელის დაკარგვაზე იმის ხასიათსაც ჰქონდა გავლენა: ძალიან გულ-ჩათხრობილი კაცი დადგა, თავის ცხოვრებას ოთხ-კედელ შუა ატარებდა, თავის პირდაპირი მოვალეობისა და წიგნის კითხვის მეტი იმას არაფერი ახალისებდა. მას შემდეგ, რაც ნუშოს გათხოვების ამბავი გაიგო, კიდევ უფრო დანაღვლიანდა. სხვებს რომ იმის გრძნობა ყმაწვილური და უხანო გატაცება ეგონათ, თითონ დიდათ მიაჩნდა ეს გრძნობა, თითონ იცოდა, რომ ეს ნამდვილი ისარია სიყვარულისა, რომელიც მარტო ერთხელ დაესობა გულს, რჩეულ გულს და უკურნებელათ დაჰკოდავს მას. იმედიცა ჰქონდა, რომ ბედი არ უმტყუნებდა. ადრიდგანვე ეს იმედი იყო იმისთვის ცხოვრების გზის მანათობელი სხივი, ნუშო ამხიარულებდა, ამხნევებდა, ანუგეშებდა, ასულდგმულებდა იმას. ჩათუთქა, როცა გაიგო რა ადვილათ გაცვალეს ის სხვაზე. მას აქეთ იმის გული აღარ ამღერებულა, სიყვარული აღარ უგვრძნია, იქნება იმისთვის, რომ ნამდვილი სიყვარული ვერ გამეორდება, გული ველარ დაიტევს მეორე იმისთანა გრძნობას, ან იქნება იმისთვის, რომ ახალგაზდა საზოგადოებაში იშვიათათ გადიოდა, თითქმის არავის იცნობდა და ვერ შეხვდა ისეთ ქალს, რომელიც კვესათ მოხდომოდა იმის გაქვავებულ გულს და სიყვარული ნაპერწკლებით გაეშუქებია, გაებწყინებია, გაეთბო, აენთო ის.

მთავრობა აფასებდა სოსანას ნაყოფიერ შრომას და როცა დარწმუნდა, როგორა ვნებდა იმას უცხოობა და უცხო ჰავა, უსმინა თხოვნა, თბილისში გადმოიყვანა. შემოდგომა მიწურული იყო, როცა სოსანა ჩამოვიდა ქალაქში და დაბინავდა. დიდი დალაგება კი არ დაჭირებია: მთელი იმისი ავლა-დიდება წიგნებისაგან შედგებოდა; ეს საუნჯე კი, ღვთის წინაშე, ბევრი შეეკრიბა. დაბინავდა თუ არა, გარეთუბნისაკენ გაეშურა: თავის ნაცნობების ნახვა მოწყურებოდა, თანაც უნდოდა ნუშოს ამბის გაგება.

უმთვარო ღამე იყო. წვიმდა. ბნელოდა. ქუჩის ფარნები მარტო იმდენათ ბჟუტავდენ, რომ შეიძლებოდა იმათი მიგნება. ტალახი კოჭამდინ წვდებოდა. ცალ-ხელაანთ მართას კარები ჩაეკეტა, მიჯდომოდა პაწაწინა ლამპარს და წინდასა ქსოვდა. ციოდა. თუნუქის ძველ ღუმელში ნახშირი ჩანელებულიყო. დედაკაცს შალის-ძველა წამოესხა მხრებზე, თავზე ხილაბანდა გადაეჭირა, ჭალარა კავები გამოსწეწოდა.

— სტუმარი არ გინდათ? შემოესმა ხმა.

მართამ თითქო კიდეც იცნო კაცის ხმა, ვერც ნამდვილათ მოიგონა.

— სტუმარი ღვთისაა. ვინა ხარ?

— მე ვარ, სოსანა ვარ!

მართა მაინც ვერ ჩავარდა გონებაში.

— ახა მღერთო! ვინ იქნება ამ დროს? ჩაილაპარაკა დედაკაცმა და წამოდგა.

კარი რომ გააღო, შემკრთალივით შედგა. სოსანამ გაუღიმა დედაკაცს და აკოცა. მართამ სიხარულით ტირილი დაიწყო. გეგენას გამოღვიძებოდა, გაეგო სოსანას მოსვლა და შევიდა მართასას. გაიგეს სხვა მეზობლებმაც. გაიმსო ოთახი. ისე ეგებებოდენ ამ კაცს, თითქო ძმა ან შვილი მოსვლიათო. აღარ გაუშვეს ვახშმათ. ვისაც რა ჰქონდა, მოიტანეს.

*) იხ. „კვალი“ № 27.

გეგენამ ქანარის ნახევარი შემოიტანა. არიფანასავით გამოვიდა. ნარიყი მოიტანეს საიდანღაც, ბუხარი გაამხიარულეს. არც ზურნა იყო, არც სიმღერა, არც სმა, არც რჩეული საჭმელები, მხიარულება კი დიდი იყო. შეჰყურებდენ უბნის შვილს და უხაროდათ, სასახელოთ მიაჩნდათ. ის-ღა აღონებდათ, რომ ეს ახალგაზდა უწინდულათ ქინქლილივით აღარ იყო. ბოლოს ესეც დაივიწყეს, როცა ყმაწვილმა დაამოშმანა, გზაძ გამლახაო. ყველაფერი მოიგონეს, არც ახალი, არც ძველი არ გაუშვეს. ერთი უკვირდა სოსანას: ნუშოზე კრინტი არავინ დაძრა, იმას კი სწორეთ იმ ქალის ამბის გაგება წყუროდა. ბოლოს ვეღარ მოითმინა და იკითხა:

— მაგდა როგორ-ღა ცხოვრობს? ხომ შვიდობით არის?

— მაგდამ შენი ჭირი წაიღო, შვილო! მიუგო მართამ.

— აქამდინ არ გაგიგია ეგ?! გაიკვირვა გეგენამ.

— ვინ მეტყოდა? საწყალი! ნუ....ნუშო როგორ-ღა არის?

ნუშოს ხსენებაზე ყველამ ერთმანეთს შეხედეს: იცოდენ, ყმაწვილს უყვარდა ის ქალი და ემძიმებოდათ ნამდვილის თქმა: ეწყინებაო.

— ნუშო, შვილო, აქა ცხოვრობს, თავის დედისეულ სახლში; ქმრის სიკვდილს შემდეგ გადმოვიდა. ახლა ცოტა შეუძლოთ არის, უპასუხა მართამ.

— როგორ? განა ჯაგუ აღარ არის?

— შენი ჭირი წაიღო.

— ჯავრმა აურია კვალი და თან გადიტანა, ჩაურთო გეგენამ.

— ჯავრმა კი არა! შეუტია სოფლელიანთ ეკამ.

— ნუშო რაღათ არის ავათ? მარტო ცხოვრობს?

— ჰო, მარტოა. რაღაც შეუძლებლობს; არ კი ვიცი სწორეთ, არ შევსულვარ, მიუგო მართამ.

სოსანა დაღონდა.

— ავათ არის, მარტოა, არ შეგიხედნიათ! ეს თქვენ არა გგავთ, რაღასაც მიმალავთ, თქვა სოსანამ და თვალი გადაავლო ყველას.

— გაქექილს გატეხილია ჯობია, თქვა ეკამ, გატეხილს გეტყვი, რადგან ჩამოვარდა ლაპარაკი. ის ქალი მეზობლობის ღირსი არ არის: სანამ ბედში იყო, არა გვკადრულობდა, აბუჩათ გვიგდებდა, მერე უბნის სახელი შეარცხვინა და უბანმაც პირი შეუქცია იმას. და უამბო სოსანას ყველაფერი დაწვრილებით. რაც ეკას ავიწყდებოდა, სხვები უმატებდენ.

ყმაწვილი-კაცი აღელვებული უგდებდა ყურს. ათასნაირი გრძნობები უზვირთდებოდენ და ეფუტკნებოდენ. სახეზე ხან განუსაზღვრელი სიბრალული და მწუხარება აებეჭდებოდა, ხან ზიზღი და სიძულვილი ეწერებოდა; ხან ლმობიერების ცრემლით თვალის გუგა ევსებოდა, ხან ბოროტება და სიმკაცრე გაუელვებდენ და უშრობდენ თვალის ნამს. ბოლოს ათასნაირმა გრძნობებმა და ფიქრებმა მთლათ დაიმონავეს, გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩააგდეს. თავს ვერ მოგებოდა, ვერ გამორკვეულიყო, რომელისამე აზრს ან გრძნობას ვერ დადგომოდა, მხოლოთ უსაზღვრო, აუტანელი სევდა რჩებოდა.

— არა, ღვთის წინაშე, სულ უპატრონოთ კი არ დაგვიტოვებია ავათმყოფი, მსუდრავი თათელა ყარაულობს, უთხრა მართამ.

— მსუდარვი თათელა... პატარაობისას რანაირათ ეშინოდა ნუშოს მსუდრავი თათელასი! ჩაილაპარაკა უფრო თავისთვის სოსანამ.

დაიწყეს სხვა საგნებზე ლაპარაკი, მაგრამ სოსანა გუნებაზე ვეღარ მოიყვანეს. დაღონდენ თ თონაც. სუფრიდან სიმხიარულის ანგელოზი აფრინდა, დაიშალენ.

წამოვიდა სოსანა და გონებაში სულ ნაამბობს იმეორებდა, გაგონილს აკვირდებოდა. იმისი აზრი, იმისი გული, მთლათ იმისი არსება ზიზღით უარჰყოფდა მიეთვისებია ნუშოსათვის ის ზნეობითი დაქვეითება, რომელიც უამბეს გუშინ.

— ნუშო, ანგელოზი ნუშო და ასეთი სისაძაგლე! ჩემი უმანკო ნუშო და გარყვნილობა! არასოდეს!.. მაშ ტყრიან? სულ მართალს ამბობენ, ისინი ტყუილს არ იტყვიან. მაშ?—ფიქრობდა სოსანა და იტანჯებოდა. ვერ წარმოედგინა სატრფო ნათელშეუმოსელი, ვერ წამოედგინა ვარსკვლავი სხივ-მოკლებული. იმის გონებაში ორ არსებათ გადაიქცა სატრფო: ერთი ის უმანკო, გულის-წარმტაცი ანგელოზი, რომელსაც სიყმაწვილითვე თაყვანსაცემდა ის, მეორე—ძამიაშვილიაანთ ნუშო უბნისაგან ღირს-

დასაგმობი. მაგრამ რანაირათ ტკიოდა გული ამ ძამიაშვილიანთ ნუშოსთვის!

მეორე დღეს თითქმის საღამოს რვა საათი იყო, როცა სოსანა ჩავიდა მართასთან და თხოვა ნუშოსთან წაეყვანა. წავიდენ. ოთახში საშინელი სუნი იდგა. ლამპარი ძლივს-ღა ბჟუტავდა, შუშა შემჭვარტლულიყო. სახლის ბანი წამხდარიყო, ადგილ-ადგილ წვეთავდა და მიწური იატაკი ატალახებულიყო. ავათმყოფი ჭუჭყიან ლოგინში იწვა. თვალები დაეხუჭა, ტუჩები სიცხისაგან შავათ შესწოდა, თმა აწეწოდა, მონაბდოდა, უსწორ-მასწოროთ ეყარა; სახე აჭარხლებოდა; თეთრ ყელზე გამშრალი ოფლი ლაქებათ დაჩნეოდა; დაგძელებულ ფრჩილებში ჭუჭყი ჩაჭდომოდა. თათელა ბუხართან იჯდა, თავი კედელზე მიედო და ეძინა. ბუხარში ჩაწყობილ ღერებს თავები წასწოდათ, ცეცხლი მიმქრალიყო.

მართა შეჰყვა ყმაწვილკაცს და ავათმყოფი ასე უპატრონოთ რომ ნახა, შერცხვა; თათელა შეტევით გააღვიძა. სოსანამ დაინახა სანატრელი სახე ამ მდგომარეობაში და ალაგობრივ გაქვავდა. უნდოდა დაჭკონებოდა ძვირფას ავათმყოფს, ცრემლით დაელტო იმისი სიცხით აგზნებული მკერდი, ადგილიდან კი ვერ იძროდა; უნდა ყველა საშუალება ერთ დროს ეხმარა იმის საშველათ, ვერაფერი კი ვერ მოეფიქრებია; უნდა ეთქვა რამე იქ მყოფებისათვის, დაესაქმებია, ხმას კი ვერ იღებდა, ენა არ ემორჩილებოდა.

სნეულმა იგრძნო ადამიანების მიახლოება, გაიბძოლა, გამშრალი ტუჩები აატოკა, საცოდავათ დაიგმინა და წყალი ახსენა. სოსანა ახლა მოეგო გონებას:

— წყალი! წყალს თხოულობს.

მონახეს ლიტრა, გარეცხეს ჭუჭყიანი ჭიქა, ახალი წყალი შემოიტანეს. სოსანამ მარცხენა მკლავით თავი აუწია ავათმყოფს და წყალი მიაწოდა. ქალმა ხარბათ ჩანთქა მაგრილობელი სასმელი, ერთი ამოიგმინა, გააღო თვალები და დაშტერდა ახალგაზდას. ავათმყოფის მიმქრალ თვალებში აზრი გამოკრთა; ისევ მილულა თვალები, ამოიკვნესა:

— მფარველო ანგელოზო, დამიშრიტე ცეცხლი... თავი დედა, დედა, თავი!

— აბა, თუ ჩემი ხათრი გაქვს, ყური უგდე, ექიმთან წავალ, მიუბრუნდა ყმაწვილკაცი მართას.

— შენ რომ არ წახვიდე, მე რას ვაკეთებ? ახლავე მოვიყვან ექიმს, უთხრა გეგენამ, რომელიც ფეხდაფეხ მოჰყოლოდა სოსანას.

მოვიდა ექიმი. ახლა ავათმყოფი აღარა გაედა ისე უპატრონოს: თმა გადაევარცხნათ, თეთრეული გამოეცვალათ, ცეცხლი აენთოთ, ლამპარი გაესუფთავებიათ, აეშუქებიათ, უწმინდურება გაეტანათ. ექიმმა გულ-დინჯათ გამინჯა ავათმყოფი და გადაწყვეტილი უთხრა:

— ცოტა დაგვიაბებულია. ფილტვების ანთება აქვს. სიცხისაგან არის მიბინარებული. ახალგაზდაა, მაგარი აგებულობისა და იქნება მორჩეს.

— მომლელი დედაკაცი უნდა დავიჭიროთ. რასაც ითხოვს, მივცემ, ოღონდ სანდო იყოს, ერთგულათ მოუაროს. მე თითონ არ მოვშორდები რამდენათაც კი დრო მომცემს, თქვა სოსანამ.

— შენ კი გაიხარე! რა მომლელი დედაკაცი გვინდა: აი, ამალამ მე ვყარაულობ, მიუგო მართამ.

— ხვალ-ღამ მე! წამოიძახა ეკამ.

— მერე მე უგდებ ყურს, თქვა სხვამ.

გარეთუბნელებმა თავისებურათ გაინაწილეს შრომა. სოსანა იქ დარჩა, რომ ნამდვილ აესრულებია ექიმის დარიგება. ღამე ძალიან შემძიმდა მდგომარეობა, ბორგვა დაიწყო. სოსანა გამოუცდელი იყო ამისთანებში და შეშინდა; არ იცოდა რომ ავათმყოფი ღამე უფრო შემძიმდება, იქნება იმისთვის, რომ აკ ლდება მზის სხივების მაცოცხლებელი ზე-გავლენა. თუ იღვიძებდა ავათმყოფი—თვალებს რეტათ აყოლებდა, თუ მიეძინებოდა—ბოდავდა. სოსანა სულგანაბული უგდებდა ყურს ქალის სუნთქვას, ესმოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ:

— ოო! თავი, დედა!.. რათ მიჭირებ თავზე ცხელ რკინას?.. უნდა წახვიდე, თავი უნდა დამანებო?.. ჯაგუ, ყინული!.. ამირაღოვის მაღაზიაში... რა ლამაზია! ვიყიდი... მობძანდით!.. აი კოწია! როდის მოკვალი?.. თუნდა სოსანასა ჰკითხეთ... მიშველეთ! რეზიკო მოდის, ანგელოზი უნდა მოკლას... არ შეიძლება!.. რას ირტყვიან?..

ქალი მძიმეთ იყო ავათ. სულთამხუთავი მოვლენოდა და ცდილობდა მოეტაცა ნორჩი სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლეს ემძიმებოდა მოსპობა, არსებას არ უნდოდა გამქრალიყო, არარაობის უფსკრულში ჩანთქმულიყო. სიცოცხლე ებრძოდა სიკვდილს

და ამ ბრძოლაში იმას ხელოვნურათ შეელოდა ექიმი, თავ-გამოდებით ეხმარნბოდენ მომლელები. ექიმი ღვთის კაცი გამოდგა: ერთხელ თუ სასყიდელს იღებდა, ბევრჯელ უსასყიდლოთ მოდიოდა, ავათმყოფობას კვალში ჩადგომიყო, არ ეიცი იმისთვის რომ სენს თავის საკუთარ მტრათა რაცხდა და სამარცხვინოთ მიაჩნდა ზურგი შეექცია მისული მტრისათვის, თუ დანაღელიანებული თვალები ახალგაზდა სოსანასი და თავ-გამოდებული შრომა ამ საწყალი ხალხისა ხიბლავდენ და ამხნევებდენ იმას.

სოსანა კი ძლიერ ნაღელიანათ იყო. დავიწყებოდა ნუშის წინანდელი ცხოვრება, დავიწყებოდა ყველაფერი, რაც საგმობი ჩადინა იმას და ეს ქალი ახლაც ისევე ძვირფასი იყო იმისთვის, როგორც მაშინ, იმ ნეტარ ღამეს, როცა კოცნა მოსტაცა საუკუნო ტრფიალების ნიშნათ.

ვ. ბარნოვი.

შეცდომის გასწორება: „კვალის“ № 25-ში საქველ-სოქმედო საქმე არის-ში დაბეჭდილი მიხ. ჩხარტიშვილი, უნდა იყოს: მიხ. ჩხატარაშვილი. დაბეჭდილია ქ. პიატიგორსკში, უნდა იყოს: ქ. პეტროვსკში. დაბეჭდილია: ნიკ. კანზოპელომ, უნდა იყოს: კონზოპულლომ. დაბეჭდილია: გიორ. კალოშვილმა, უნდა იყოს: გიორ. კოლოშვილმა. დაბეჭდილია: მიკ. თოიძემ, უნდა იყოს: მაკა თოიძისამ. დაბეჭდილია: დავ. მანჯიგალაპე, უნდა იყოს: დავ. მანჯღალაძემ. დაბეჭდილია: კოს. ვარდანაშვილმა, უნდა იყოს: კონო ვარდანიანცმა. დაბეჭდილია: ნესტორ კორძაიამ, უნდა იყოს: ნესტ. კუჭავამ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

20 ივნისიდან მიიღებს ავათმყოფებს ახალ სადგომში. ნიკოლოზის ქუჩა, ე. საგინაშვილის სახლი, № 21, სადაც „ივერიის“ რედაქციაა.

ივანე როსტომაშვილის გამოცემანი 1896 წელს.

1896 წლის განმავლობაში გამოვა 18 ახალი ქართ. თუალი წიგნი და 1 ალბომი — „ქართველთა ტომნი“ (грузинскія племена) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით.

ფასი მთელი გამოცემისა: წლით—4 მანეთი, ნახევარი წლით—2 მანეთი. ალბომი გაეგზავნება მხოლოთ წლიურ სელის-მომწერლებს.

ფული უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ. Давид. ул. № 6, Ивану Павловичу Ростомову.

10—4

ახალი წიგნები იაკობ გოგებაშვილისა

მოსავლის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, იპყრობს აღწერას თხუთმეტის ცხოველისას, ოც-და-ხუთი სურათით. იყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის, ხეთერელის და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში; ახალ-სენაკში, ოზურგეთს და ბათუმში თავართქილაძის მაღაზიებში, ფასი ყველგან ერთი აბაზი.

Разборъ учебныхъ руководствъ по русскому языку: Родного Слова Ушинскаго, Русской Рѣчи Вольпера, Курса Русскаго языка Левитскаго, Русской Рѣчи Черняевскаго, ამას გარდა წიგნში მოთავსებულია კიდევ ორი სხვა წერილი, Учебный планъ Инородческой школы и Курсъ начальной Кавказской школы, იყიდება იქვე,—ფასი ათი შაური.—

(6—2)

დაიბეჭდა და იყიდება
წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამოცემა
№ 27

ოქროს ბოყვარულები

მოთხრობა ცშოკესი
გადმოღებული
ელენე წერეთლის მიერ
ფასი 15 კაპ.

(10—4)

Доз. ценз. Тифлисъ, 29 Іюня 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41.